საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავისუფალი საქართველო

№3
10 - 17 ნოემბერი 1994 წ.
ინდექსი 66421
ფასი 400 რუბლის შესაბამისი კუპონი
გაზეთი რეგისტრირებულია იუსტიციის სამინისტროს მიერ
სარეგისტრაციო მოწმობის № 0441

WEEKLY NEWSPAPER TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA)

## რედაქტორის სვეტი

1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში ჩატარდა საყოველთაო არჩევნები, რის შედეგადაც ქვეყნის სათავეში მოვიდა ეროვნული ხელისუფლება.

ადამიანი მოკლებულია შესაძლებლობას სრულად შეაფასოს იმ საზოგადოებრივ-ისტორიული მოვლენის მნიშვნელობა, რომლის უშუალო მონაწილეც თავად გახდება; ანდა რომლისგანაც არ აშორებს დროის გარკვეული პერიოდი. და მაინც, თუ ყველანი გულწრფელნი ვიქნებით, მიუხედავად ჩვენი ამჟამინდელი ორიენტაციისა და პოზიციისა, ოქტომბრის არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ წამით მთელ საქართველოს სუნთქვა შეეკრა. ეს იყო აღტაცება, ჯერ კიდევ გაუცნობიერებლად, მაგრამ რეალურად დანახული თავისუფლების, აღდგენილი ღირსების გამო; და მხოლოდ მცირე ნაწილში საქართველოს ამგვარი აღფრთოვანება თავზარდამცემ შიშსა და შფოთს იწვევდა...

ახლა 1994 წლის ოქტომბერია. ოთხი წლის წინანდელი საქართველოს აღფრთოვანება ცეცხლითა და მახვილით მოაშთეს, ტყვიით და ყუმბარით ჩაკლეს. ქვეყანა დაანაკუწეს, ხალხი გაანადგურეს, საქართველო გამოუთქმელი მწუხარებით აავსეს.

შემოდგომის მზიან, უსიხარულო დილას, ნაგვით გადავსებულ ქუჩებში უსიცოცხლოდ დაბორიალებენ ჩვენი თანამემამულეები. მობუზულები, დატანჯულები, ცუდად ჩაცმულები... ყველა რაღაცას მიათრევს: ყუთებს, ჩანთებს, ტომრებს. მშვენიერი პატარა ბავშვები მონდომებით არიდებენ თვალს ჯიხურებში გამოდებულ ჭრელ-ჭრელ ტკბილეულს.

უყურებ ამ გულსაკლავ სურათს და ფიქრობ, ნუთუ ჩვენ იგივე ადამიანები ვართ, ვინც 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩევნებისთვის ემზადებოდა მოლოდინით, მღელვარებით, თანამონაწილეობით, ნუთუ იგივენი ვართ, ვინც მერაბთან ერთად შავლეგოს ვმღეროდით, ვინც ზვიადს საქართველოს სიყვარულში ვემოწმებოდით, ვისაც გვჯეროდა, რომ ერი, რომელიც თავისუფლებისთვის იბრძვის, ყველთვის მართალია და, რომ ღვთის წყალობა არ მოაკლდება თავისუფლების გზაზე შემდგარ ამაყ ქვეყანას.

ჩვენ იგივენი ვართ. უბრალოდ, ცხოვრების პირობები შეგვიცვალეს. დაგვტანჯეს, დაგვღალეს, დაგვთრგუნეს, დაგვაფრთხეს, მაგრამ ვერ მოგვერიენ. ჩვენში კიდევ ცოცხლობს უკვდავი სული და სანამ გვახსოვს რა არის სიამაყე, სანამ ვიცით ავის და კარგის გარჩევა, სანამ გვიყვარს, გვწამს, ვოცნებობთ, ვცდილობთ, მანამ ჩვენი ეროვნული ენერგიაც ცოცხლობს. და იგი აუცილებლად გამონთავისუფლდება დღევანდელობის უმძიმესი ბორკილებიდან.

ხოლო მათ, ვისაც საქართველოს საჭეთმპყრობლის პრეტენზიები გააჩნიათ, გვინდა შევაგონოთ: ზრუნვა ერის ხვალინდელ დღეზე თვალთმაქცობად დარჩება, სანამ საქართველოს რეალურად არ გამოუჩნდება ის პერსპექტივა, რომელიც 1990 წლის 28 ოქტომბერს ჰქონდა.



ზვიად გამსახურდია

# საქართველოში მე მინდა ნამდვილი "ჰაიდ პარკი"

მამულიშვილნო!

1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში ჩატარდა დემოკრატიული არჩევნები. მოგილოცავთ გამარჯვებას!

ჩვენი ეროვნული მოძრაობის ერთიანობამ, ჩვენი ბრძოლის სამართლიანობამ შეუძლებელი შესძლო, მეგობრებო.

დიახ! არც თუ ისე დიდი ხნის წინ არავის ეგონა, რომ ტოტალიტარულ სახელმწიფოში, კომუნისტური რეჟიმის პირობებში ჩვენ შევძლებდით მრავალპარტიული არჩევნების ჩატარებას - არასაბჭოური არჩევნების ჩატარებას. მაგრამ ეს გახდა შესაძლებელი ჩვენი ხალხის მაღალი პოლიტიკური სიმწიფის შედეგად, მაღალი შეგნების შედეგად, მაღალი მოქალაქეობრივი და ეროვნული ძალისხმევის შედეგად.

ერთი რამ უნდა გვახსოვდეს, მეგობრებო: ყოველი თქვენგანი, ვინც აქ ბრძანდებით, ყოველი თქვენგანი მონაწილეობდა ამაში, ყოველი თქვენგანის გამარჯვებაა ეს. და არა მარტო თქვენ, ვინც აქ ბრძანდებით - მთელი საქართველო დაირაზმა ჩვენს გარშემო, მეგობრებო. ეროვნულმა მოძრაობამ მიიღო საყოველთაო ხასიათი. ბევრმა ახლა დაინახა, რომ აუცილებელია ამ არჩევნების გარშემო დარაზმვა. ნუ ვიტყვით, რომ ეს მხოლოდ მრგვალმა მაგიდამ გააკეთა - მხოლოდ იმ პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა, რომლებიც მრგვალ მაგიდაში შედიან, ეს იქნებოდა უდიდესი უსამართლობა, მეგობრებო! მრგვალი მაგიდა წვეთია ზღვაში იმასთან შედარებით, რაც ჩვენ ვიხილეთ საქართველოში ამ დღეებში. ეს იყო ნამდვილად მთელი ერის უდიდესი წარმატება, ამიტომ ჩვენ არ ვისაკუთრებთ ამ გამარჯვებას და არ ვთვლით, რომ ჩვენ პირველნი ვართ ამაში. ამასთან ერთად მოგახსენებთ, ჩემო საყვარელო და ძვირფასო ადამიანებო, რომ მიუხედავად იმისა, რაც მოხდა ეროვნულ მოძრაობაში, ჩვენი ლტოლვა - ჩვენი უპირველესი ლტოლვაა ისევ გამთლიანება, ისევ აღდგენა ერთიანობისა ყველა პოლიტიკურ პარტიასთან. ჩვენი უმთავრესი მიზანია ეროვნული შემწყნარებლობა, შერიგება, სიყვარული, ურთიერთგაგება.

იმპერიამ, იმპერიულმა ძალებმა დაქსაქსა ეროვნული მოძრაობა, სხვაგვარად ისინი ვერ მოახერხებდნენ გამარჯვებას, ვერ მოგვახვევდნენ თავს კოლონიურ მონობას, კომუნისტურ რეჟიმს, თუ არა ამგვარად! მაგრამ ჩვენც სწორედ ამითვე უნდა დავუპირისპირდეთ, ამით. სადაც იმპერია გათიშავს - იქ ჩვენ უნდა შევაერთოთ, სადაც იმპერია იწვევს შუღლს - ჩვენ სიყვარული უნდა ვთესოთ, სადაც იმპერია სიძულვილს თესავს - ჩვენ ურთიერთგაგება უნდა აღვადგინოთ.

აი, ეს არის ჩვენი მიზანი, მეგობრებო!

იმ ადამიანს, რომელიც გუშინ იმპერიას ემხრობოდა, გადავუხსნით გულს, მივესალმებით. მოვიდეს, დადგეს ჩვენთან ერთად - ვიყოთ ძმები. არ გვინდა მეტი არაფერი, მეგობრებო. არ გვინდა არაფრის დამახსოვრება, თუნდაც რომ დაეშავებინოთ ჩვენთვის, ველანძღოთ, რაც უნდა ყოფილიყოს - არ გვახსოვს არაფერი, მეგობრებო. ნუ ჩავიდებთ გულში ბოროტებას, ნუ ჩავიდებთ გულში ბოღმას. აი, ეს არის ჩვენი დევიზი, მეგობრებო.

მართალია, კომპარტია დავამარცხეთ ამ არჩევნებში, მაგრამ მე რუსთაველის მიმდევარი ვარ, როგორც ყოველი თქვენგანი და საერთოდ ქართველი ერი და ჩვენი კრედო, ჩვენი უდიდესი კრედო გადმოცემულია "ვეფხისტყაოსანში". ესაა უდიდესი შემწყნარებლობა, უდიდესი შემრიგებლობა და სიყვარული ქრისტიანული, რომელიც გამოხატულია შემდეგ სტრიქონებში:

"ბრძენთა ვინმე მოსწავლემან საკითხავსა ესე ვპოვნე,
ესაო მამაცისა მეტისმეტი სიგულოვნე,
ოდეს მტერსა მოერიო,ნულარ მოჰკლავ, დაიყოვნე,
გინდეს სრული მამაცობა, ესე სიტყვა დაიხსოვნე."

აი, ეს არის, მეგობრებო, ჩვენი ცხოვრების წესი. ამ გზით მიდიოდა ჩვენი უდიდესი წმინდანი, ჩვენი უსაყვარლესი ადამიანი მერაბ კოსტავა. ამ გზით მიდიოდა ცხოვრებაში და ამიტომ აღზევდა იგი მთელს საქართველოზე და დაჰნათის ზეციური საქართველოდან ჩვენს მოძრაობას, მეგობრებო. ეს დღევანდელი გამარჯვება - მისი გამარჯვებაა უწინარეს ყოვლისა და როგორც იგი ვიდოდა ცხოვრებაში, როგორი გზითაც იგი მიდიოდა, როგორც იგი იყო განწყობილი თვით მტრების მიმართ - ასევე ვიქნებით ჩვენ! ასევე ვიქნებით და დავამტკიცებთ, რომ ჩვენ მისი ნამდვილი მიმდევრები ვართ. ყველანი დავამტკიცებთ ამას!

მეგობრებო, ამას ყველაფერს იმიტომ გეუბნებით, რომ იმპერია მაინც არ იშლის ჩვენთან ბრძოლას ულირსი ხერხებით. თესავენ პანიკას - კომუნისტების, მილიციის, პროკურატურის, სახელმწიფო უშიშროების წრეებში, რომ თურმე ჩვენი უმთავრესი მიზანი ყოფილა მათ მიმართ შურისძიება. ნუთუ შეიძლება, მეგობრებო, ასეთი სულმდაბლობა, ასეთი ულირსი მეთოდებით ბრძოლა.

(დასასრული მე-8 გვ.)

# მიმართვა

## ყოველთა ქართველთა კონგრესის მონაწილეებს

მოგმართავთ თქვენ, ვისი წინაპრებიც ძნელბედობის ჟამს იძულებულნი გამხდარან გახიზნულიყვნენ სამშობლოდან, ან ვინც მშობლიური მიწის ნაწილთან ერთად მოსწყვიტეს დედა-საქართველოს.

ჩვენი ქვეყნის მთელი ისტორია ესაა ქართველთა დევნის, შეურაცხყოფის, მასობრივი ფიზიკური განადგურების, ძალადობით გადარჯულების, ძირძველი მიწების მიტაცების წინააღმდეგ მებრძოლი ერის ტრაგიკული ეპოსი, რომლის არაერთი ტკივილიანი ფურცელი, ალბათ, თქვენი ოჯახების ბედშიც აისახა. ამიტომაც იმედი გვაქვს, რომ XX საუკუნის ბოლოს საქართველოს თავს დატეხილი ტრაგედია თქვენთვის მხოლოდ სენტიმენტების და პატრიოტიზმით კეკლუცობის საბაბი არ გახდება. იმედი გვაქვს, ღრმად ჩასწვდებით ჩვენი ქვეყნის დღევანდელ ტკივილს, მის სათავესა და ნამდვილ მიზეზებს, ერთმანეთისგან გაარჩევთ შავსა და თეთრს და სწორ დასკვნებს გამოიტანთ.

საქართველოს რომ დღეს უჭირს - ამას ნებისმიერი გეტყვით. მაგრამ ყველა არ გეტყვით, თუ რატომ უჭირს. უჭირს არა იმიტომ, რომ დაინგრა ეკონომიკა, რომ ქვეყანას აკლია სინათლე და პური; არა იმიტომ, რომ იზრდება დამნაშავეობა,რომ ქართველები ერთმანეთს ხოცავენ და, საერთოდ, ჩვენ არა ვართ მზად თავისუფლებისთვის, იქნება არც ვართ მისი ღირსნი და არც შეგვიძლია ვიყოთ თავისუფალნი. ამგვარი აზრები დღეს საყოველთაოდ ინერგება საქართველოში.

ნუ დაუგდებთ ყურს ამ ნიჰილისტურ პროპაგანდას - მისი მქადაგებელნი თავად არიან საქართველოს დღევანდელი უბედურების შემოქმედნი. ეს მწარე რეალობა ლოგიკური შედეგია ქართველი ხალხის ნების საწინააღმდეგოდ, უკანონოდ, ძალმომრეობით დამკვიდრებულ უზურპატორთა მოღვაწეობის; შედეგია იმ უზნეობისა და სისასტიკის, რომელიც მოიტანეს დემოკრატიის ნიღაბს ამოფარებულმა მოღალატეებმა და სანამ არ აღმოიფხვრება “წყევლის სათავე“, თავად რეალობაც არ შეიცვლება.

საქართველოს დღევანდელი საჭეთმპყრობელნი სულიერი მემკვიდრენი (და არა მხოლოდ სულიერი) არიან მათი, ვინც ამ საუკუნის დასაწყისში ერთხელ უკვე დაამხო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, დააკარგვინა ქართველ ერს სახელმწიფოებრიობა და წითელი დრაკონის ლაშქრობას შემოუძღვა; ვინც განდევნა სამშობლოდან თქვენი მამა-პაპანი, ვინც კომუნისტურ გულაგში აწამებდა და ხვრეტდა თქვენს ახლობლებს მხოლოდ იმისთვის, რომ თქვენი ნათესავები იყვნენ; ვინც გაანიავა საქართველოს მიწა-წყალი, დაამხო ქართული მართლმადიდებელი ეკლესია, ცეცხლს მისცა მისი წმინდა საგანძურები; ვინც დევნიდა ქართულ ენასა და ყოველივე ქართულს.

დღეს მათი გზის გამგრძელებლები, პატრიოტიზმისა და მართლმორწმუნეობის ფარისევლური ნიღბით, იმეორებენ თავიანთი ბოლშევიკი მამების დანაშაულს. მხოლოდ ამჯერად მათ გვერდით მრავლად არიან და ბოლშევიზმის რეანიმაციას ემსახურებიან მათი შთამომავლებიც, ვინც წითელმა ტერორმა შეიწირა. მოკვეთილნი საკუთარი ხალხისგან, ისინი დღეს აქ საიმედოდ არიან დაცულნი მძლავრი სადამსჯელო სისტემით. მაგრამ ვინ დაიცავს მათ იქ - ზეციურ საქართველოში, უზენაესი მსაჯულის წინაშე? რა პასუხს გასცემენ თავიანთ ტანჯულ, მსხვერპლად შეწირულ წინაპრებს?

რაკი თქვენ დღეს საქართველოში ხართ, სადაც ქვებიც კი სისხლის ცრემლებით ტირიან, სადაც ასეულ ათასობით უსახლკარო ქართველი დაიარება სიმართლისა და ლუკმა-პურის ძიებაში, არ გაქვთ უფლება არ დაუფიქრდეთ, არ ჩაუღრმავდეთ ამ რეალობას; არ გაქვთ უფლება ქართველი ხალხის ჯალათებით შევსებული პრეზიდიუმებიდან წაკითხული მოხსენებებით, საზეიმო კონცერტებითა და ბანკეტებით შეიქციოთ თავი; არ გაქვთ უფლება თვალი დაუხუჭოთ სიმართლეს.

ნუ მიენდობით მათ, ვინც თქვენი წინაპრების ტანჯული სისხლით განწმენდილ სახელებს თავისი დანაშაულის დასაფარავად გამოიყენებს. თუ არადა, თქვენც მათთან ერთად შეგაჩვენებს ერიც და შთამომავლობაც.

გახსოვდეთ, არ არსებობს შეცდომა, რომელსაც ერი არ გაპატიებს, თუკი დაიცავ მისთვის ყველაზე მთავარს - ღირსებასა და თავისუფლებას; და არ დაგიფასებს არანაირ დამსახურებას, თუ ამ უმთავრესისთვის ბრძოლაში მხარში არ ამოუდექი!

მოგიწოდებთ, გვერდში ამოუდგეთ ჭეშმარიტებისა და თავისუფლებისთვის დევნილ, უფლებააყრილსა და შეურაცხყოფილ უბრალო ქართველ ხალხს - მორწმუნესა და მშრომელს, ბრძენსა და შემოქმედს. დაიფარეთ იგი თქვენი უანგარო მსახურებითა და ერთგულებით, რამეთუ თავად ეს ხალხია ჩვენი ყველაზე საიმედო თავშესაფარიც და უმტკიცესი საყრდენიც!

გჯეროდეთ, საქართველო დასძლევს ყოველგვარ ძნელბედობას, გარეშე მტრის შემოტევებსა და უბადრუკი შვილების მუხანათობას და გაბრწყინდება!

ღმერთი იყოს თქვენი შემწე და მფარველი საქართველოსთვის სასიკეთო ყველა საქმეში!

**ოლღა დემურია-კოსტავა მუხრან მაჭავარიანი,**
**ია ბაგრატიონ-მუხრანელი ელიზბარ ჯაველიძე,**

თბილისი

ოქტომბრის 11, 1994

# ყოველთა ქართველთა მოკრძალებული ხიბლი

**ამ პომპეზურ ღონისძიებას ხალხში უკვე შეარქვეს “ყოველთა არაქართველთა კონგრესი“ და ეს თითქმის ლოზუნგად ქცეული კალამბური თანაბრად ამხიარულებდა დაპირისპირებული პოზიციების ადამიანებს.**

9 ოქტომბერს თბილისელები უჩვეულო სანახაობის მოწმენი გახდნენ: თავისუფლების მოედნიდან ფილარმონიამდე, ცენტრალური ქუჩა გადაკეტილი იყო პოლიციის მიერ და მანქანების სავალ ნაწილზე დროშების ფრიალით მოდიოდა უცნაური პროცესია. უცნაური იყო ისიც, რომ მანიფესტანტები არაფერს ითხოვდნენ და ისიც, რომ მათ ჩვეულებისამებრ არავინ არბევდა. მხოლოდ ფილარმონიასთან მიახლოვებისას გამოირკვა, რომ ამ “აქციის“ მომწყობნი ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის მონაწილენი იყვნენ.

კონგრესის პირველი დღე განცდებით და ემოციებით აღსავსე იყო: დიდი ხნის უნახავი, ან საერთოდ უცნობი სამშობლო, შენი ხალხი, რომელიც დახმარებას ითხოვს, სახელმწიფოს მეთაური, რომელიც ქართული დიასპორის წინაშეც კი გერმანიის გაერთიანებაზე ლაპარაკობს... ერთი სიტყვით, მძიმე და უსიხარულო სურათი დახვდა საქართველოს სტუმრებს.

ამას ისიც ემატება, რომ დაპატიჟებულ თანამემამულეთა ნაწილი საერთოდ არ ჩამოვიდა, ვინაიდან თვლის, რომ საქართველოში სასტიკად ირღვევა ადამიანის უფლებები, არის პოლიტპატიმრები, მმართველი რეჟიმი კი საოკუპაციოა. ამიტომ, არსებული ხელისუფლება ყოველმხრივ ცდილობს დაუმტკიცოს ჩამოსულ სტუმრებს, რომ საქართველოში არც თუ ისე ცუდია ცხოვრება: ჩვენ, უბრალოდ, უკეთესი გვსურს, თორემ ესეც არა უშავს... მართლაც რომ ნეტარი მიღება საპატრიარქოში, 600 კაციანი უბადლო სუფრა ღია ცის ქვეშ, ჩირაღდნების შუქზე... სუფრები, სუფრები... სტუმრები გაოგნებულნი არიან.

12 ოქტომბერს კონგრესის მონაწილენი ორ დელეგაციად იყოფიან და მიემგზავრებიან საქართველოს სხვადასხვა კუთხეების დასათვალიერებლად: ნაწილი - თელავში, ნაწილი - ქუთაისი-ზუგდიდი-ბათუმის მიმართულებით. ჩვენ მივყვებით დასავლეთისკენ მიმავალ დელეგაციას.

ქუთაისის ეპიზოდი ნაკლებად საინტერესოა: მიღება არა ისეთი, როგორსაც ვართ ჩვეულნი. ეს საერთო გულისტკივილს იწვევს,

არავინ ფიქრობს, რომ ოკუპირებულსა და ლტოლვილებით სავსე ქვეყნისთვის ესეც ზედმეტი ფუფუნებაა. სხვათა შორის, ქუთაისში არ არის სინათლე და წყალი, თუმცა, სტუმართაგან ამას მხოლოდ ზოგიერთი თუ ამჩნევს.

ქუთაისში კვლავ ვიყოფით: ნაწილი - ბათუმისკენ, ნაწილი - ზუგდიდისკენ. ჩვენ ცნობისმოყვარეობამ დაგვძლია და სამეგრელოსკენ გავეშურეთ. გზა საომარ მოქმედებათა ადგილებზე გადის, სტუმრები გაოგნებულნი უყურებენ დანგრეულ სახლებს, გადამწვარ ბაღებს და, რაც მთავარია, გაუკაცრიელებულ ქუჩებსა და ეზოებს.

ზუგდიდში მერიის წინ გველიან - ბავშვები და მოზრდილები, თავაზიანად გვესალმებიან... ჩამოსულ თანამემამულეებს ახლავთ ის ადამიანები, ვისთვისაც მეგრელის [...] ლასავით იყო, ვინც არ დაინდო აბაშა, სენაკი, ხობი, ფოთი და ბომბები დაუშინა ჰაერიდან, საზენიტო დანადგარებიდან, ვინც ბანდები და რუსეთის ჯარი შეუსია სამეგრელოს. ახლა კი დამშეულ ლტოლვილებით სავსე ზუგდიდში გაშლილ, მართლაც ზღაპრულ სუფრაზე მეგრელების სადღეგრძელოების დალევა უხდებათ. ვინ იფიქრებდა?!

არსებითად კი სულაც არ არის გასაკვირი, რომ საქართველოში მოეწყო ასეთი კონგრესი: ბევრს მოენატრა ჩვეული სიმპოზიუმები, ფესტივალები, კონგრესები, რომელთაც უხვი ქართული სუფრა მოჰყვებოდა ხოლმე. შემდეგ სუფრაზე ერთმანეთს უმტკიცებენ, ვის უფრო უყვარს საქართველო. ამჯერად, ალბათ, მიზნად იყო დასახული ეჩვენებინათ, რომ საქართველოს არც ისე უჭირს.

თორემ სიმართლეს ნაზიარებ სტუმრებს შესაძლოა ეფიქრათ კიდეც, ვის სჭირდება ხელისუფლება, რომლის ხელშიც ქვეყანა ასეთ მძიმე მდგომარეობაშია.

ყველაფრის მიუხედავად, საბედნიეროდ, სტუმრების ერთმა ნაწილმა მართებულად შეაფასა ვითარება. ამის დასტური იყო ტაბახმელაში გამართულ პრესკონფერენციაზე სოჭიდან ჩამოსული ჩვენი თანამემამულის, ქ-ნი [...]ია სვანიძის გამოსვლა. მან დაუფარავად განუცხადა ჟურნალისტებს, რომ მთელი კონგრესი იყო ამაზრზენი და ხროვა, რომელიც აქ შეიკრიბა არაფრის მაქნისია და ვერაფრით დაეხმარება საქართველოს; ხოლო ზუგდიდში ქეიფობდნენ ისინი, ვისი ბრძანებითაც ააოხრეს სამეგრელო.

დაბოლოს: კონგრესი პრეტენზიული სახელწოდებით დამთავრდა, სტუმრები დაიშალნენ და ბევრ მათგანს ვინ იცის, კიდევ როდის გაახსენდება საქართველო. ჩვენ კი დავრჩით აქ, ჩვენს ქვეყანაში, ჩვენი პრობლემებითა და კითხვებით, რომლებზეც პასუხის გაცემა მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია. კონგრესმა კი მრავალი კითხვა და საფიქრალი აღძრა, უპირველესად კი დაგვარწმუნა, რომ მათ, ვინც საქართველო დაჩოქილი შეიყვანა დსთ-ში და რუსეთთან ალიანსში მოაწყო ქართველთა გენოციდი, არა აქვთ “ყოველთა ქართველთა“ სახელით გამოსვლის უფლება, რადგანაც ეს ერის შეურაცხყოფაა და ეწინააღმდეგება თვით ქართველთა გაერთიანების იდეას.

**ზაალ თაბაგარი**



საყოველთაო ქართველების
საერთაშორისო
კონგრესის პრეზიდენტს
ბ-ნ რ. ჩხეიძეს

**დიდად პატივცემულო ბატონო,**
**ულრმეს მადლობას მოგახსენებთ თქვენს მოწვევაზე კონგრესზე.**
**მე ვუერთდები ხალხის აზრს, რომ ქვეყანაში, სადაც მასშტაბურად ილახება ადამიანის პოლიტიკური უფლებები, კონგრესში მონაწილეობის მიღება ეწინააღმდეგება ადამიანურ მორალს. ძალიან გთხოვთ, ის თანხა, რომელიც განკუთვნილია ჩემი ხარჯების ასანაზღაურებლად, გადაურიცხოთ პოლიტიკურ პატიმრებს მათი ნაწამები ჯანმრთელობის აღსადგენად.**
**იმედი მაქვს ჩვენ შევხვდებით თავისუფალ, დემოკრატიულ საქართველოში, რომლისთვის მე ვლოცულობ.**

**ღრმა პატივისცემით,**
**იოლანდა მარშევ**

პროფესორი იოლანდა მარშევი ცნობილი ფილოლოგი და ქართველოლოგია.მას კარგად იცნობენ საქართველოში. კიტა ჩხენკელის შემდეგ, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ქართული ფილოლოგიის კათედრას ციურიხის უნივერსიტეტში.

# რატომ აღშფოთდნენ

16 ოქტომბერს მოსწავლეთა სასახლეში გაიმართა ე.წ. ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის პირველი ფორუმის დასკვნითი პრესკონფერენცია, რომელსაც გარკვეულწილად მაინც ნათელი უნდა გაეხადა, თუ რა კონკრეტულ, საქართველოსათვის სასიკეთო შედეგს შეიძლება ველოდოთ დანგრეულ-დამშეული ქვეყნისათვის ზედმეტად გრანდიოზული ამ ღონისძიებისგან. მაგრამ რევაზ ჩხეიძის ვრცელი, ზოგადი ინფორმაციითა და ემოციური წიაღსვლებით აღსავსე შესავალი სიტყვა ძნელად თუ ვინმეს დაარწმუნებდა ამ კიდევ ერთი კონიუნქტურული სპექტაკლის საჭიროებაში.

- “დადის ჭორები, - განაცხადა კონგრესის არქიტექტორმა. - და მათ, ალბათ, ავრცელებენ ჩვენი მტრები ჩრდილოეთიდან, თითქოს კონგრესზე დაიხარჯა ნახევარი მილიონი დოლარი. ეს სიცრუეა. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ჩვენ სულ 17 ათასი დოლარი დავხარჯეთ, დანარჩენი თანხა გადაიხადეს ბათუმისა და ფოთის სანაოსნოებმა, ცეკავშირმა, კერძო ფირმებმა და პირებმა. მაგრამ განა ეს საერთოდ სალაპარაკოა...“ და მან გაიხსენა უკვე გარდასულ დღეთა რამდენიმე თვალწარმტაცი ეპიზოდი:

- “მარტო პატრიარქთან სტუმრობა რად ღირდა... ღამით, ღია ცის ქვეშ, ჩირაღდნების შუქზე ჩვენ თითქოს ანგელოზებს ვესაუბრებოდით. მე არ ვიცი და არც მაინტერესებს, რა დაუჯდა ეს საპატრიარქოს.“

ამგვარი შესავლის შემდეგ ჩვენ ბუნებრივად გაგვიჩნდა ინტერესი ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებული ზოგიერთი ნიუანსის მიმართ. ვინაიდან პრესკონფერენციის ეს ეპიზოდი საკმაოდ ფართო მსჯელობის საგნად იქცა, სრულად მოგვყავს ჩვენს მიერ დასმული კითხვა და შევეცდებით აღვიდგინოთ მასთან დაკავშირებული პერიპეტიები. “თავისუფალი საქართველოს“ კორესპონდენტმა ჰკითხა რევაზ ჩხეიძეს:

- მართალია, თქვენ არ გაინტერესებთ, თუ რა თანხა დახარჯა საპატრიარქომ იმ უკვე გახმაურებულ ღამის წვეულებაზე, მაგრამ იმედია, დააკმაყოფილებთ ჩვენს ინტერესს ზოგიერთი ფინანსური საკითხის გამო. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, გარკვეული თანხა, - კერძოდ 27 მილიონი რუბლი, რაც დაახლოებით 10 ათას დოლარს შეადგენს, - კონგრესისთვის გადმორიცხულ იქნა უნივერსიტეტის განვითარების პროგრამაზე გამოყოფილი 200 მილიონი რუბლიდან. არ გამოვრიცხავთ, რომ ესეც ჩვენი მტრების მიერ ჩრდილოეთიდან გავრცელებული ჭორები იყოს, მაგრამ მაინც გთხოვთ გვითხრათ, შეესაბამება თუ არა ეს ინფორმაცია სინამდვილეს?

ადგილობრივი საზოგადოების რეაქციამ ამ კითხვაზე კიდევ უფრო სარწმუნო გახადა ინფორმაცია: თბილისურმა ელიტამ ვერ დაფარა აღშფოთება. ყველა ერთად აყვირდა, აღრიალდა; მანდილოსნები იქნევდნენ მანდილებს, მამაკაცები - ხელებს, მიკროფონთან მოიჭრა “პოლიტექნიკურის ბულბული“ ნანული აბესაძე და აღშფოთებულმა ტირადა ისროლა, შემდეგ კი სალონების “სულიერმა დედამ“ დენიზა სუმბაძემ იტვირთა მძიმე მისია, ჟურნალისტის თავხედობის გამო ბოდიში მოეხადა სტუმრების წინაშე. ჩვენ კი მხოლოდ სინანული გამოვთქვით, რომ “საქართველოს ინტელექტუალურ პოტენციალს“ მიახლოებითი წარმოდგენაც კი არა აქვს პრესკონფერენციის დანიშნულებასა და ჟურნალისტიკის რაობაზე.

რაც შეეხება სტუმრების აღშფოთებას, რომელიც მათ დარბაზიდან გასვლით გამოხატეს: დარბაზი კი ამ დროს გაჰყვიროდა - აი, ეწყინათ, თქვენ აწყენინეთ! მას შემდეგ, რაც რევაზ ჩხეიძემ თავისი შეგონებები - “გაიმეორეთ, გაიმესამეთ, სახელმწიფომ დახარჯა მხოლოდ ემიგრაციის მუზეუმისთვის განკუთვნილი თანხა“ - დაასრულა სასოწარკვეთილი შეძახილით - “არ უნდა გვეჭმა

# უკანონო რეჟიმის წინააღმდეგ მშვიდობიანი ბრძოლის მეთოდები

ისტორიას არ ახსოვს მაგალითი- რომელიმე დაპყრობილ ერს უბრძოლველად დაეღწიოს თავი დამპყრობლისაგან. თუმც, საზოგადოების ერთ ნაწილში არსებობს აზრი, თითქოს ინგლისსა და საფრანგეთს თავისი ნებით გაენთავისუფლებინოს ზოგიერთი ყოფილი კოლონია.ასე მსჯელობა არასერიოზულია და უნდა აღვნიშნოთ, რომ არც ერთი იმპერიული ქვეყანა ასეთ ნაბიჯზე არ წასულა თავისი ნებით. დაპყრობილი ქვეყნები განთავისუფლდნენ მხოლოდ და მხოლოდ ბრძოლის შედეგად და ამის მაგალითად იკმარებდა ინდოეთის განდისტური მოძრაობაც, რომელმაც იძულებული გახადა ინგლისის იმპერია უარი ეთქვა ამ თავის ყველაზე შემოსავლიან კოლონიაზე.

სხვა საკითხია, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებას სხვადასხვა ქვეყანაში და სხვადასხვა დროს შეიძლება ახასიათებდეს გარკვეული სპეციფიკური თავისებურებანი, რაც განსაზღვრავს მოძრაობის მეთოდს: პარლამენტარიზმის,შეიარაღებული აჯანყების, ტერორიზმისა თუ მშვიდობიანი დაუმორჩილებლობის.

დღეს ხშირად ისმის კითხვა, თუ რა გზით უნდა იაროს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, რა ფორმები და მეთოდები უნდა იქნეს გამოყენებული, რათა წარმატებით დაგვირგვინდეს კანონიერი ხელისუფლების აღდგენის, ქვეყნის დეოკუპაციისა და სრული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პროცესი. ამ კითხვას აუცილებლად უნდა გაეცეს პასუხი.

ჩვენ, ცხადია,უაღრესად უარყოფითი აზრისა ვართ განმათავისუფლებელი მოძრაობის ტერორისტულ მიმართულებაზე, ვინაიდან მივიჩნევთ მას აშკარად მცდარ და მახინჯ მეთოდად - თავისი უზნეო გამოვლინებებით - და ამდენად კატეგორიულად გამოვრიცხავთ ქართული ეროვნულ- განმათავისუფლებელი მოძრაობის არსენალიდან.

ასევე მიუღებლად ვთვლით პარლამენტური ბრძოლის მეთოდსაც, რადგანაც საქართველოს დღეს დე ფაქტო არ ჰყავს კანონიერი ხელისუფლება და ქვეყანას მართავს რუსეთის მიერ ინსპირირებული სამხედრო-კრიმინალური პუტჩის შედეგად მოსული უკანონო ხელისუფლება, ანუ საოკუპაციო-მარიონეტული რეჟიმის თვითმართველობის ორგანო. მკაფიოდ უნდა ითქვას, რომ პარლამენტური ბრძოლის გზაზე დადგომა ნიშნავს - ვაღიაროთ და ვცნოთ ამ რეჟიმის კანონიერება, მონაწილეობა მივიღოთ მის მიერ დანიშნულ არჩევნებში, დავაკანონოთ მისი უკანონო მმართველობის დანაშაულებრივი შედეგები - ტერიტორიების დაკარგვის ჩათვლით, ანუ ვაღიაროთ და ვცნოთ საქართველოს დე ფაქტო მდგომარეობა დე იურედ. ვიმეორებთ, ჩვენთვის ეს მიუღებელია ქართველი ერისა და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე.

ამიტომ, ე.წ. პარლამენტისგან ჩვენ მხოლოდ ერთს მოვითხოვთ - თავადვე აღიაროს და დაგმოს 1991 წლის 22 დეკემბრიდან დღემდე რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია-ანექსიის ფაქტი, - როგორც ეს გააკეთა ე.წ. გუმბარიძის უზენაესმა საბჭომ 1990 წელს - და აქედან გამომდინარე, გამოაცხადოს თვითლიკვიდაცია. რაც შეეხება მომავალ არჩევნებს: - 1990 წლის 28 ოქტომბრამდე არსებული მდგომარეობისგან განსხვავებით - საქართველოს დღეს,მართალია დევნილობაში, მაგრამ ჰყავს ლეგიტიმური არჩევითი ორგანო უზენაესი საბჭოს სახით და კანონიერი იქნება მხოლოდ მის მიერ დანიშნული არჩევნები. ოღონდ, რა თქმა უნდა, კანონიერი ხელისუფლების რეალურად და არა ნომინალურად აღდგენის შემდეგ.

დიახ, მხოლოდ რეალურად აღდგენის შემდეგ, თორემ უზენაესი საბჭოს ნომინალური აღდგენა არჩევნების დასანიშნად, არ გამოვრიცხავთ, რომ გარკვეული სპეცსამსახურების მიერაც იყოს ჩაფიქრებული და დაგეგმილი სამართალმემკვიდრეობის ფიქტიური აღდგენის გზით საქართველოს ფაქტობრივი მდგომარეობის დასაკანონებლად.

ვერც სახალხო შეიარაღებული აჯანყების გზას დაადგება ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაბა, გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო.

ჯერ ერთი,სახალხო შეიარაღებული აჯანყებისთვის აუცილებელია დიდი ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც, ავღანელებისაგან განსხვავებით, ქართველ ერს არ გააჩნია. მოგეხსენებათ, თუ რა ძალები უმაგრებდნენ ზურგს ავღანელებს რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენს უკან კი ასეთი ძალები არ დგანან.

მეორე: რიცხობრივად ჩვენ მცირე ერი ვართ, გარდუვალი შეჯახება კი მოგვიწევს რუსეთის სამხედრო ურჩხულთან. გასაგებია, რომ შედეგი ფრიად სავალალო იქნება და შესაძლოა აღმოვჩნდეთ სრული ფიზიკური განადგურების საშიშროების წინაშე.

მესამე: დავუშვათ, საქართველოსაც გაუმაგრეს ზურგი გარკვეულმა ძალებმა და, ჩვენი მცირერიცხოვნების მიუხედავად, სახალხო შეიარაღებული აჯანყების გზით შევძელით რუსეთის გეოპოლიტიკური ორბიტიდან გასვლა. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, უანგაროდ არავინ დაგვეხმარება და კვლავ მონობაში ამოვყოფთ თავს, მხოლოდ უკვე არა რუსეთის. ამ შემთხვევაში საქართველო, შესაძლოა, დიდ ქვეყნებს შორის სამხედრო დაპირისპირების პოლიგონადაც იქცეს.

და მეოთხე - ბოლო და, ჩვენის აზრით, ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი, თუ რატომ არ შეიძლება დავადგეთ აჯანყების გზას ზემოთ ჩამოთვლილი არგუმენტების უსაფუძვლობის შემთხვევაშიც კი. ცნობილია, რომ ძალადობა შობს ძალადობას და საქართველო უეჭველად გადაიქცევა პერმანენტული ძალადობისა და განუკითხაობის ასპარეზად, რაც საბოლოოდ სულიერი და ფიზიკური კვდომის პირამდე მიიყვანს ჩვენს მრავალტანჯულ ერსა და ქვეყანას.

შემთხვევით როდი დავუთმეთ ამდენი დრო ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში შეიარაღებული აჯანყების მეთოდის განხილვას. ეს შეგნებულად გავაკეთეთ, რამეთუ არ არის გამორიცხული სპეცსამსახურების მხრიდან პროვოცირებულ იქნას ამგვარი გზის ჩვენთვის თავსმოხვევა.

ერთი სიტყვით, ჩვენ დღესაც, ისევე როგორც ყოველთვის, უარვყოფთ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში შეიარაღებული, ტერორისტული და ცრუპარლამენტური ბრძოლის მეთოდებს და ვირჩევთ საყოველთაო, მშვიდობიანი ეროვნული და სამოქალაქო დაუმორჩილებლობის გზას. უფრო სწორად, - ტაქტიკური ბრძოლის ეს გზა დიდი ხანია არჩეულია, მას დიდი ხნის ისტორია აქვს და, შეიძლება ითქვას, მშვიდობიანი დაუმორჩილებლობის მეთოდი ჩვენი მოძრაობის მიერ კლასიკურ მეთოდადაა აღიარებული და მიჩნეული.

გავიხსენოთ 1988-89-90 წლები, როდესაც საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას თაოსნობით მართავდა პოლიტიკური დაუმორჩილებლობის ფართომასშტაბიან აქციებს - მიტინგებს, მანიფესტაციებს, შიმშილობებს, გაფიცვებს.

სწორედ ამგვარი მშვიდობიანი აქციების მთელს საქართველოში გაშლის შედეგად მიაღწია ქართველმა ხალხმა იმას, რომ გუმბარიძის დროინდელმა კომუნისტურმა უზენაესმა საბჭომ აღიარა და დაგმო 1921 წელს რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია-ანექსია და ამით ფაქტიურად აღიარა თავისი არაკანონიერებაც. მხოლოდ მშვიდობიანი, მაგრამ უაღრესად მწვავე აქციების შედეგად იქნა შესაძლებელი საქართველოში 70 წლის შემდეგ პირველი არასაბჭოური, მრავალპარტიული არჩევნების ჩატარება, ქვეყნის ხელისუფლების სათავეში ეროვნული ძალების მოსვლა და დამოუკიდებლობის აღდგენა.

ჩვენს მოძრაობას დღეს არ ესაჭიროება ახალი ველოსიპედის გამოგონება. "მრგვალი მაგიდის" პოლიტიკური ორგანიზაციებისათვის არც დგას საკითხი, თუ რა გზით უნდა იაროს ამ ეტაპზე ქართველმა ხალხმა საოკუპაციო-მარიონეტული რეჟიმის გასაუქმებლად, კანონიერი ხელისუფლების აღსადგენად და საქართველოს ტერიტორიიდან საოკუპაციო ჯარის გასაყვანად. ჩვენთვის ეს საკითხი გადაწყვეტილია მყარად და ცალსახად. "მრგვალი მაგიდის" პოლიტიკური ორგანიზაციები მტკიცედ ადგანან მშვიდობიანი პოლიტიკური დაუმორჩილებლობის გზას. იმ გზას, რომლითაც მოდიოდა ჭეშმარიტი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ზვიად გამსახურდიას თაოსნობით.ჩვენთვის მნიშვნელოვანია გავიგოთ "მრგვალი მაგიდის" გარეთ არსებული, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაცვის პრინციპების შესახებ კონვენციაზე ხელმომწერი ორგანიზაციების აზრი და პოზიცია. ამ საკითხზე ანტიიმპერიული ფრონტის ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ ცალსახა და მკაფიო პასუხი.

დღეს, როდესაც სახეზეა საქართველოს ოკუპაცია-ანექსიის ფაქტი, დარღვეულია ტერიტორიული მთლიანობა და ქვეყანას ემუქრება მსოფლიო გეოპოლიტიკური რუკიდან კვლავ გაქრობის აშკარა საშიშროება, ყოველივე ამის ხელშემწყობად კი გვევლინება მმართველი საოკუპაცი-მარიონეტული რეჟიმი, რომელიც სეპარატისტულ ძალებთან ერთად წარმოადგენს რუსეთის იმპერიის დასაყრდენს საქართველოში; დღეს, როდესაც პოსტ-საბჭოურ სივრცეში მიმდინარეობს აქტიური რეინტეგრაციის პროცესი, რუსეთი კი ცდილობს ამ პროცესს ნებაყოფლობითი ხასიათი მისცეს, ხოლო დასავლეთის დემოკრატიული ელიტა რატომღაც თითქოსდა ვერ ამჩნევს ამას, - სასწრაფო და აუცილებელია ქართველმა ერმა, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ მიმართოს მშვიდობიანი პოლიტიკური დაუმორჩილებლობის უფრო მწვავე ფორმებს.

მეტიც: ამ ეტაპზე, როცა ქართველ ხალხს აშკარად არ გააჩნია თავისი პოლიტიკური ნების თავისუფლად გამოხატვის საშუალება, მიზანშეწონილად ვთვლით, გამოყენებულ იქნას მშვიდობიანი ბრძოლის უკიდურესი ფორმები; მაგალითად, მჯდომარე აქციები, შიმშილობის აქციები და ა.შ. მეტი ინტენსივობით უნდა ვცადოთ მიტინგებისა და მანიფესტაციების ჩატარება. ყველგან, სადაც ამას საჭიროება მოითხოვს, უნდა შეიქმნას მაორგანიზებელი ჯგუფები, საგაფიცვო კომიტეტები.

ერთი სიტყვით, ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ მეტი ძალისხმევისა და მეტი თავგანწირვის ფასად უნდა შესძლოს საყოველთაო დაუმორჩილებლობის მომზადება და განხორციელება.

დრო მიდის, გლობალური პროცესები კი ჩვენთვის არასასურველი მიმართულებით ვითარდება. ერთადერთი გარანტი ამ პროცესების ჩვენს სასარგებლოდ განვითარებისა გახლავთ ქართველი ერის მოწამებრივი ბრძოლა, ქართველი ერის გაუტეხელი ნება, ქართველი ერის დაუმორჩილებელი სული.

ზურაბ კვარაცხელია

# შიმშილობა მარქსიზმ-ლენინიზმის ციტადელთან

27 ოქტომბერს დღისით კონსერვატიულ-მონარქისტური პარტიის თავმჯდომარემ თემურ ჟორჟოლიანმა 26 სექტემბერს დაწყებული შიმშილობა განაგრძო მშობლიური პარლამენტის შენობასთან.

ამ დროს პოლიცია ცდილობდა იმელის წინ შეკრებილ "ოქროს თასის" მოტყუებულ მეანაბრეთა დაშოშმინებას. დროშებითა და პოლიტიკური მოთხოვნებით აღჭურვილი პროცესიის დანახვაზე მათ უმალ აღეძრათ ბუნებრივი პოლიციური ინსტინქტი და "კანონის დამცველებმა" გამეტებით დასცხეს დასუსტებულ "კანონშემოქმედს". აღშფოთებული მხადამჭერები, ძირითადად სტუდენტები და ახალგაზრდები, გადაეფარნენ მოშიმშილეს და მტკიცედ დაუდგნენ შემოტევას. პოლიციაც, სამმართველოს უფროსის მოადგილის მიხეილ სალაძის მითითებით, ჩვეული შემართებით საქმიანობდა: სასტიკად სცემეს "პატრიოტთა ლიგის" თავმჯდომარე გიგა ,ზაალიშვილი, გოგა შიუკაშვილი, როსტომ სისვაძე, თორნიკე კაჭარავას ურტყეს წიხლები მუცელსა და თავში, რის შედეგადაც მას თავზე ოთხი ნაკერის დადება დასჭირდა და ცხვირი თაბაშირში აქვს ჩასმული. ტელეგრაფის შენობასთან დააპატიმრეს სტუდენტი ბექა ბუაძე. სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა.

ამასობაში შენობის წინ შეიკრიბნენ ოპოზიციონერი პარლამენტარები, მათ შორის თენგიზ კიტოვანი, რომელიც გაჰყვიროდა, - "ხელი არ ახლოთ, თორემ სისხლს დავღვრი". არ ვიცით, ამ მუქარამ დააფრთხო პოლიცია, თუ ხელისუფალნი მოერიდნენ ვითარების გამწვავებას, მაგრამ დარბევა შეწყდა. ქალაქის პოლიციის სამმართველოს უფროსი დემურ მიქაძე შეეცადა ახლა უკვე აღმზრდელობითი ზემოქმედებით დაერწმუნებინა ჟორჟოლიანი, რომ იმელის შენობა მოუხერხებელია შიმშილობისთვის, ხოლო კიტოვანმა პოლიტაგიტატორის ფუნქცია იტვირთა და მოუწოდა "ოქროს თასის" მეანაბრეებს, შემოერთებოდნენ საპროტესტო აქციას

საღამოსთვის პოლიცია უკვე თავს აცოდებდა ხალხს, - რა ვქნათ, თქვენც გვენანებით და იქიდანაც გვაწვებიანო. პასუხად კი მიიღეს მეგობრული რჩევა - "ვინც გაწვებათ, იმას უთხარით, რომ გადადგეს".

29 ოქტომბერს თემურ ჟორჟოლიანმა შეწყვიტა შიმშილობა.მისი თქმით,მიუხედავად ამისა,აქცია მაინც გრძელდება- .მიღწეულია შეთანხმება საპარლამენტო, და არა სატელევიზიო დებატების შესახებ, რომელიც 8 ნოემბერს უნდა ჩატარდეს.ეს თვალშისაცემი კომპრომისი ერთგვარად ამჟღავნებს პირადი მოტივების მონაწილეობას ამ "სუფთა" პოლიტიკურ აქციაში.

# ქართველი ემიგრანტები

ამ ხალხისთვის?!" - გაბრაზებული ემიგრანტები საფრანგეთიდან კვლავ შემოვიდნენ დარბაზში და ჩხეიძისათვის მოულოდნელად ავიდნენ სცენაზე. მათ გამოთქვეს უკმაყოფილება, რომ არ მიეცათ საშუალება გასაუბრებოდნენ საზოგადოებას, გაეზიარებინათ თავიანთი შთაბეჭდილებები და ამის მაგიერ მოწმენი გახდნენ, თუ როგორ არკვევს ბატონი რეზო ურთიერთობებს ჟურნალისტებთან. ამის შემდეგ ბატონმა რამაზ ნიკოლაძემ გატეხილი ქართულით, მაგრამ შთამბეჭდავად გააცნო საზოგადოებას, თუ რითი შეუძლია საკუთრივ საფრანგეთის ემიგრაციას დაეხმაროს საქართველოს:

- "ჩვენ შეგვიძლია აღვადგინოთ ხიდები ახალ ბურჯებზე, დაგეხმაროთ კულტურის სფეროში, სამედიცინო მომსახურეობის გაუმჯობესებაში, ეკონომისტთა კადრების მომზადებაში და კიდევ თითოეული ჩვენთაგანი თავის დარგში შეეცდება შეეწიოს თავის სამშობლოს, რათა ოდესმე მაინც დამთავრდეს საქართველოში ეს მარაზმი!"

მას შემდეგ, რაც რევაზ ჩხეიძემ გამოთქვა მოსაზრება, ემიგრანტებს საქართველოში სახლების ასაშენებლად დაურიგონ მიწები, ზურაბ ქაფიანიძემ სტუმრებს საჩუქრად გადასცა შუმერული ანბანის პლაკატები, ხოლო სოხუმიდან ლტოლვილმა რუსმა "მეგობარმა" შესძახა - მეგრელთა გაბრწყინებული თვალების ხილვა მთელი მსოფლიოს გოჭების დაკვლად ღირს და, მოდით, დახარჯულ ფულზე ნუ ვილაპარაკებთო, - საფიქრალია, რომ

სინდისიერ სტუმრებს კიდევ უფრო გაუმძაფრდებოდათ ჩვენში გამეფებული მარაზმის შეგრძნება.

ა. ჭ.

## საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება N89 ბ

1994 წლის 6 ოქტომბერი
ქ. თბილისი

დაევალოს თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახ. უნივერსიტეტს ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის პირველი ფორუმის ჩატარებასთან დაკავშირებით საქ. რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის 1994 წლის 24 აგვისტოს 713 განკარგულებით გამოყოფილი 200 მილიონი რუბლიდან 27 მილიონი რუბლი გადაერიცხოს ქ. თბილისის მერიას სტუმართა კვებისა და მომსახურეობისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოადგილე ზ. კერვალიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სასამართლო გრძელდება

...მიუხედავად იმისა, რომ თვრამეტი განსასჯელიდან სხდომებს ესწრება მხოლოდ შვიდი.

ამდენად, სასამართლო პროცესი ე.წ. "ჩიქოვანის ქუჩის" საქმეზე უნიკალურ სახეს იძენს.

**26 სექტემბერი - 10 ოქტომბერი**

მიმდინარეობს ირაკლი დოკვაძის დაკითხვა.

**11 - 13 ოქტომბერი**

ჩვენებებს იძლევა პეტრე გელბახიანი.

**17 - 18 ოქტომბერი**

დაიკითხა გედევან გელბახიანი.

უნდა აღინიშნოს, რომ დაკითხვები მიმდინარეობს განსასჯელებისა და ადვოკატების მუდმივი პროტესტების ფონზე: - "არ არიან განსასჯელები, არ არიან მათი ინტერესების დამცველები, ჩვენ კი მათზე გვიხდება საუბარი. ეს ეწინააღმდეგება კანონს". ყველა გამომსვლელი აღნიშნავს, რომ აუცილებლად თვლის განსასჯელების სასამართლო დარბაზში დაბრუნებას.

**18 ოქტომბერი**

აღინიშნა ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარის ვლადიმერ ბარათაშვილისა და მოსამართლე მირზა დოლიძის მორიგი გმირობით: მათთვის ჩვეული შეხმატკბილებული მიწერ-მოწერის შედეგად, ადვოკათა კოლეგიის რიგებიდან გარიცხეს სამი შვილის მამა, პროცესში მონაწილე კიდევ ერთი ადვოკატი - განსასჯელ დომუხოვსკის დამცველი - იუზა ჯლამაძე სასამართლოსა და ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმისადმი "დაუმორჩილებლობის"გამო (ჯლამაძემ უარი განაცხადა პროცესში მონაწილეობაზე და განსასჯელის სურვილის საწინააღმდეგოდ მის დაცვაზე).ამჟამად დომუხოვსკი გაძევებულია, დათხოვილია მისი ორი დამცველიც - მეუღლე რ.კიკალეიშვილი და ადვოკატი. ამდენად, დომუხოვსკის ინტერესებს არავინ იცავს.

**19 ოქტომბერს**

განსასჯელებმა პ. გელბახიანმა, მ. აფციაურმა, თ.კაპანაძემ, ი. დოკვაძემ პროტესტი გამოთქვეს, ვინაიდან მოსამართლემ გაძევებული განსასჯელის გ. მახვილაძისა და მისი დამცველის დაუსწრებლად დაიწყო მახვილაძის ჩვენებების გამოქვეყნება.

გთავაზობთ ამ სხდომის შემოკლებულ ჩანაწერს:

"მოს. დოლიძე. - ხომ გამოთქვით პროტესტი, ოქმში დაფიქსირდა, ახლა დასხედით.

პ. გელბახიანი. - ჩვენი ადამიანური უფლებები ირღვევა!

ადვ. მოსესიანი. - ჩვენებებთან დაკავშირებით მე რამდენიმე შეკითხვა მაქვს მახვილაძესთან. როგორ მოვიქცე?

მოს. დოლიძე. - მაგაზე იმსჯელებს სასამართლო.

მოსამართლე იწყებს მახვილაძის ჩვენებების გამოქვეყნებას. პეტრე გელბახიანმა სიგარეტი გააბოლა.

პ. გელბახიანი. - ბოდიშს მოგიხდით, ბ-ნო კოლეგიის თავმჯდომარევ, იძულებული ვარ განგებ დავარღვიო წესრიგი, ეგებ თქვენი ყურადღება მივიქციო.

პ. გელბახიანი წესრიგის დარღვევისთვის გააძევეს დარბაზიდან. ოთხი განსასჯელი კვლავ გამოთქვამს პროტესტს.

მოს. დოლიძე. - ვაგრძელებ მახვილაძის ჩვენებების გამოქვეყნებას, თქვენ იდექით ფეხზე.

ი. დოკვაძე. - ჩვენ მარიონეტებად არ გამოგადგებით.

თ. კაპანაძე. - ეს სასამართლო არის ბალუაშვილის ფაშისტური გამოძიების გაგრძელება - არ არიან დამცველები, არ არიან განსასჯელები, არ არის პროკურორი. თუ ბალუაშვილი იქ გვაწამებდა, თქვენი სასამართლო პოცესი იმით დასრულდება, რომ ვინმეს შეიწირავს... გოგიჩაშვილი უკვე სისხლს აღებინებს...

მოს. დოლიძე. - შეწყვიტეთ წესრიგის დარღვევა...

მ. აფციაური. - ჯერ სასამართლომ შეწყვიტოს წესრიგის დარღვევა!

ი. დოკვაძე. - 3-4 წლის შემდეგ კვლავ შედგება სხდომა ჩვენი მონაწილეობით, თუ დავრჩით ცოცხლები თქვენი წყალობით.

თ. კაპანაძე. - ვერ გაგვასამართლებთ! ასე სკამები გაასამართლეთ!

ირაკლი დოკვაძემ და გედევან გელბახიანმა დაიწყეს სიგარეტის მოწევა.

გ. გელბახიანი. - ცხოვრებაში არ მომიწევია, მაგრამ იძულებული ვარ მოვწიო, რათა დარბაზიდან გამაძევოთ.

**20 - 21 ოქტომბერი**

სხდომები გრძელდება. დარბაზში თვრამეტიდან შვიდი განსასჯელია, ექვსი ადვოკატი, სხდომებს არ ესწრება პროკურორი. ჩვენებებს იძლევა გელა მჭედლიშვილი.

**24 ოქტომბერი**

გამოცხადდა ადვ. ჯლამაძის სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ და კვლავ არაორდინალური გადაწყვეტილების მოწმენი გავხდით: პროკურორმა კ. კობერიძემ "დაასაბუთა", რომ რადგანაც "ვ. დომუხოვსკი კანონით მინიჭებულ დაცვის უფლებას იყენებს პროცესის გაჭიანურების მიზნით", მას არ სურს და არ სჭირდება დამცველი (?!). ამ პროცესის ტრადიციისამებრ, პროკურორის აზრი მიღებულ და გაზიარებულ იქნა სასამართლო განჩინებით. დადგინდა, რომ პროცესი გაგრძელდეს დომუხოვსკის ადვოკატის გარეშე და განსასჯელს უარი ეთქვას დამცველის აყვანაზე (?!) - თურმე მისი საქციელიდან გამომდინარე, მას არ სურს დამცველი. ამგვარი კვალიფიკაცია იურიდიული ნონსენსია.

ამის შემდეგ დაიკითხა განსასჯელი სერგო ხახვიაშვილი.

**25 ოქტომბერი**

დასრულდა ხახვიაშვილის დაკითხვა. ადვოკატთა პროტესტი გამოიწვია პროკურორ კ. კობერიძისა და მოსამართლე მ. დოლიძის შეხმატკბილებულმა წინადადებამ, შეიცვალოს სასამართლოს მიერ ერთხელ უკვე დადგენილი დაკითხვის წესი და თანამიმდევრობა, და უამინდობის გამო ("ზამთარში ჩამოსვლა გაუჭირდებათ") დასაკითხად მოიწვიონ დაზარალებულები და მოწმეები, ე.ი. შეწყვიტონ უკვე დაწყებული განსასჯელთა დაკითხვა. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ადვოკატთა პროტესტმა არავითარი შედეგი არ გამოიღო.

**26 - 28 ოქტომბერი**

მიმდინარეობს დაზარალებულთა და მოწმეთა დაკითხვა. ი. დოკვაძის დამცველი გიორგი მოსესიანი, არ ესწრება სხდომას, რომელზედაც ერთ-ერთი დაზარალებულის ჩვენება უშუალოდ ეხება დოკვაძის ინტერესებს. როგორც შემდეგ სხდომაზე ირკვევა, მოსამართლემ თავად გაანთავისუფლა მოსესიანი მისი თხოვნით, მაგრამ არ გააფრთხილა, რომ სხდომაზე განიხილებოდა მისი დაცვის ქვეშ მყოფი განსასჯელის ინტერესებთან დაკავშირებული საკითხი.

**ნინო ჩეჩელაშვილი**

# უნივერსიტეტში "ზვიადისტებს" ითვლიან

27 ოქტომბერს უნივერსიტეტში დაგეგმილი იყო შეხვედრა ოპოზიციონერ პარლამენტარებთან, მაგრამ იმელის წინ ჟორჟოლიანის აქციის დარბევის შემდეგ "ხალხის რჩეულებმა" არ მიატოვეს კოლეგა და ამიტომ შეხვედრაზე მხოლოდ ორი მათგანი გამოცხადდა - გოჩა ჯოჯუა (კონსერვატიულ-მონარქისტული პარტია) და დავით ქადაგიძე (მთიელთა კავშირი). უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის წარმომადგენელი რისმაგ გორდეზიანი შეეცადა ეს ვითარება გამოეყენებინა და შეხვედრა ჩაეშალა, მაგრამ სტუდენტებისა და პედაგოგების საერთო მოთხოვნის შემდეგ იძულებული გახდა მიკროფონი დაეთმო სტუმრებისთვის.

გოჩა ჯოჯუამ მოკლედ მოახსენა საზოგადოებას მოშიმშილე თემურ ჟორჟოლიანის მოთხოვნებისა და იმელის წინ მისი დარბევის შესახებ. დავით ქადაგიძემ ისაუბრა ე.წ. პარლამენტში უნივესიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მის მიერ მიღებულ ზომებზე. "ჩემს არც ერთ მოთხოვნაზე ჯერ პასუხი არ მიმიღია", - განაცხადა მან.

რისმაგ გორდეზიანი კვლავ ეცადა ამით დაესრულებინა შეხვედრა, მაგრამ ჟურნალისტებმა და დამსწრე საზოგადოებამ მოითხოვა, რომ სტუმრებსა და მასპინძლებს პასუხი გაეცათ მათთვის საინტერესო შეკითხვებზე. ვინაიდან შეხვედრას ესწრებოდნენ უნივერსიტეტიდან უკანონოდ გაძევებული და რეპრესირებული თანამშრომლები, ბ-ნი გორდეზიანი აშკარად მოსურნე იყო არ დაეთმო მიკროფონი დარბაზში მსხდომთათვის, მაგრამ იძულებული გახდა დამორჩილებოდა მოთხოვნას.

პირველივე შეკითხვა შეეხო უნივერსიტეტის თანამშრომელთა შევიწროვებას პოლიტიკური მოტივით. "ასეთი რამ ჩვენთან არ ხდება",- განაცხადა რისმაგ გორდეზიანმა. მაშინ უნივერსიტეტიდან უკანონოდ გაძევებულმა თანამშრომლებმა - ბეჟან ჯავახიამ, ნონა დოჭვირმა, ლეილა ცომაიამ მოახსენეს დამსწრე საზოგადოებას უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მიერ მათ მიმართ გატარებული რეპრესიული ზომების შესახებ.

- "ეს არაა გასაკვირი, ვინაიდან უნივერსიტეტიდან სხვა დროსაც აძევებდნენ ჩვენზე დიდ მამულიშვილებსაც", - განაცხადა ბ-მა ბეჟან ჯავახიამ. მან გააცნო საზოგადოებას გაზეთ "კომუნისტის" 1977 წლის 1 აპრილის ნომერში გამოქვეყნებული უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს განცხადება, რომელშიც ზვიად გამსახურდია "მხილებულია", როგორც ანტისაბჭოთა ელემენტი და სოციალიზმის იდეალების მტერი. "თქვენ მაშინ უნივერსიტეტის პარტკომი იყავით", - შეახსენა მან ბ-ნ გორდეზიანს, რომელიც აცხადებდა, რომ დეპუტატებთან შეხვედრის საბაბით ადგილი აქვს პოლიტიკური აქციის მოწყობის მცდელობას და უნივერსიტეტი არ უნდა გახდეს პოლიტიკური ვნებების სარბიელი.

ჩვენს შეკითხვაზე, ასევე ღელავდა თუ არა იგი უნივერსიტეტის პრესტიჟზე 1991 წლის სექტემბერ-ოქტომბერში, როდესაც ეს შენობა ოპოზიციურ შეიარაღებულ ძალთა შტაბად იყო ქცეული, გორდეზიანმა განაცხადა, რომ მას არ მოსწონდა ის, რაც მაშინ ხდებოდა და სამეცნიერო საბჭომ შესაბამისი განცხადებაც გააკეთა. აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობა არ შეცვლილა.

"მრგვალი მაგიდის" ვიცე-სპიკერი ბ-ნი თენგიზ კიკაჩეიშვილი ჩვენთან კათედრის გამგეა და მის მიმართ არავითარ რეპრესიებს ადგილი არ ჰქონია. ზოგიერთი თანამშრომელი გაძევებულია ლექციების გაცდენის გამო", - განაცხადა ბ-ნმა გორდეზიანმა, მაგრამ იქვე მიიღო პასუხი, რომ დაპატიმრებული და დევნილი პედაგოგი, ბუნებრივია, გააცდენს ლექციებს.

ჩვენ დაგვაინტერესა, რა ზომები მიიღო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ მაშინ, როდესაც აპატიმრებდნენ, აწამებდნენ, ოჯახებში ეჭრებოდნენ და უწყობდნენ ჩხრეკებს, იბარებდნენ სუკ-ში და დაშინების მიზნით ატერორებდნენ უნივერსიტეტის ათეულობით თანამშრომელს, მათ შორის ბ-ნ კიკაჩეიშვილსაც. გორდეზიანმა გვიპასუხა, რომ უნივერსიტეტმა ყველაფერი გააკეთა მათ მიმართ რეპრესიების აღსაკვეთად და ამას დაადასტურებენ თავად ე.წ. 103-ის წერილის ხელმომწერნიც. "ეს სიცრუეა"- წამოიძახა პროფესორმა თამაზ კალაძემ, ამ ცნობილი წერილის ერთ-ერთმა ხელმომწერმა, რომელმაც თავად განიცადა პატიმრობა და ფიზიკური ზემოქმედების სისასტიკე. "მოდით, ყველანი შევიკრიბოთ და ვისაუბროთ", - შესთავაზა გორდეზიანმა.

მან აგრეთვე განაცხადა, რომ იცის ზვიად გამსახურდიას მომხრე თანამშრომელთა ზუსტი რაოდენობა. "რატომ დაითვალეთ, რაში გესაჭიროებოდათ?" - ჰკითხა მას ბ-ნმა ბეჟან ჯავახიამ. დასასრულ, როდესაც სტუდენტების წარმომადგენელმა გააკეთა განცხადება თბილისში ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნით მიმდინარე აქციათა მხარდაჭერის შესახებ, მოულოდნელად გამოირთო ელექტროენეგია და, შესაბამისად, მიკროფონიც.

შეხვედრის შემდეგ სტუდენტებთან საუბრისას გამოირკვა, რომ თამაზ კვაჭანტირაძე სისტემატიურად აცდენს ლექციებს, მაგრამ ამ ფაქტს რექტორატის მხრიდან არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია.

# ნემო ჭანტურია

ჭანტურია ნემო ვარლამის ძე, დაიბადა ქ. ფოთში 1959 წლის 18 მაისს. საშუალო სკოლა დაამთავრა გალის რ-ნის სოფ. თაგილონში. 1977-80 წ.წ. მსახურობდა ყოფილი საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების სამხედრო-საზღვაო ფლოტის შემადგენლობაში. 1981-1991 წ.წ. მუშაობდა ქ. სოხუმში სახელმწიფო სტრუქტურებში. 1991 წლის სექტემბრიდან შევიდა საქართველოს ეროვნული გვარდიის რიგებში და ბოლომდე კანონიერი პრეზიდენტისათვის მიცემული ფიცის ერთგული დარჩა. დაპატიმრებამდე ასრულებდა კანონიერი გვარდიის სენაკის მე- 2 ბატალიონის შტაბის უფროსის მოვალეობას. შეპყრობილ იქნა 1992 წლის 30 სექტემბერს ქ. სენაკში უკანონო ხელისუფლების ფორმირებათა მიერ სამეგრელოში მორიგი სადამსჯელო ექსპედიციის ჩატარებისას. წამოყენებული აქვს სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე, 67-ე, 104-ე და 133-ე მუხლებით გათვალისწინებული ბრალდებები, რომელთაც ნემო ჭანტურია უსამართლოდ მიიჩნევს. იგი და კიდევ სამი პიროვნება - დავით კაჭარავა, ჯემალ ახალაია, ზურაბ წირღვავა (ამ უკანასკნელის მიმართ განაჩენი არ გამოტანილა ფსიქიკური მდგო მარეობის გამო) განსჯილნი არიან ე.წ. "კავსაძის გატაცების" საქმეზე.

საპატიმროდან გამოგზავნილ წერილში 1993 წლის ივნისში ნემო ჭანტურია წერდა:

" ჩემი სურვილია და ცხოვრების უმთავრეს აზრად ვთვლი საქართველოს სრულ თავისუფლებას, მის ერთიანობას, საქართველოს ფარგლებში მშვიდობის დამყარებას, კანონიერებისა და სამართლიანობის აღდგენას - კანონიერი პრეზიდენტისა და პარლამენტის დაბრუნებას."

# "კუგელმანები"

მესამე რეიხის სამხედრო დოქტრინის ერთ-ერთი ძირითადი და მნიშვნელოვანი ნაწილი იყო "კუგელი", რომელიც ითვალისწინებდა ოკუპირებულ ტერიტორიაზე ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის მიერ განხორციელებული საწინააღმდეგო აქციის საპირისპიროდ მშვიდობიანი მოსახლეობის მასიურ ულეტას, პრინციპით - ყველა ერთისათვის, რომელსაც განსაკუთრებული სისასტიკით, თანამიმდევრულად განახორციელებდნენ SS-ელები.

კაცობრიობის ისტორიის ეს შავბნელი ფრაგმენტი უკვე წარსულის კუთვნილებაა, მაგრამ, როგორც ავთვისებიანი სიმსივნე ჯანმრთელ ორგანიზმში, თავს იჩენს და პროგრესირებს მისი გამანადგურებელი ფუნქციის შესაბამისად.

"კუგელი" სჭირდება აგრესორს, "კუგელი" სჭირდება დიქტატორს, "კუგელი" სჭირდება არაადამიანს, არაკაცს, მიმტაცებელს. "კუგელი" სჭირდება სატანას, ანტიქრისტეს. ის სრულებითაც არ სჭირდება ღმერთს, ჩვენს ჭეშმარიტსა და ერთადერთ უფალს - იესო ქრისტეს, "კუგელი არ სჭირდებათ ღვთის მორწმუნეებს.

"კუგელი" თავის თავში ჩამწყვდეული ბოღმაა, უსუსურობაა, მაგრამ არაკეთილსინდისიერი ადამიანების ხელში გამანადგურებელი ძალის აბსოლუტური იარაღია ღმერთისა და ადამიანის წინააღმდეგ.

დღეს ჩვენს სათაყვანო , სამშობლოში მომრავლდნენ "კუგელის" პრინციპის ადამიანები. ვინ არიან ისინი, თუ არა "კუგელმანები"?

დანგრეული და გადამწვარი თბილისი, გაპარტახებული სამეგრელო, წაგებული აფხაზეთი, სამაჩაბლო, კატასტროფამდე მიყვანილი ეკონომიკა, უკიდურესი უზნეობის ზეობა, დატყვევებული ეროვნული სული, დაჭრილი, ნაცემი და სულში ჩაფურთხებული მოსახლეობა, ცინიკური ქირქილით ცივ სამარეში გატყუებული ერის გენოფონდი.

"კუგელმანებს" არც რწმენა გააჩნიათ, არც ეროვნება. ისინი სისხლით და ხორცით "კუგელმანები" არიან. მათი სული წამწყდარია და თუკი ოდნავ მაინც ბჟუტავს, მხოლოდ მოსკოვის კრემლის გუმბათების თავზე წამოსკუპებულ, ჩაქუჩ-ნამგალიან ხუთქიმიან ვარსკვლავებში.

ბორგავენ "კუგელმანები", განწირულობის აგონიას მოუცავს ისინი, ვერ უწყნარდებათ ფხანამორეული ეშვები, იღრინებიან და ლამის დაჭამონ ერთმანეთი.

"კუგელმანების" გაფრთხილების უკანასკნელი ჟამიც დამდგარია. თვალისმომჭრელად ელავს თეთრ ცხენზე ამხედრებული რაინდის ხელში სამართლიანობის ბასრი მახვილი.

ძრწოდეთ, "კუგელმანებო", ძრწოდეთ!

*ქ თბილისის N1 იზოლატორი*
*10 ივნისი, 1993*

# დაპატიმრებების ტალღა თბილისში

31 ოქტომბერს სახლებიდან გამოიყვანეს და დააპატიმრეს ლეილა ცომაია, მამუკა ხუციშვილი, ნუგზარ ცერცვაძე.

დილით პირველ ნოემბერს სამივე და მათთან ერთად 31 ოქტომბერს აქციის დარბევისას დაპატიმრებული ზურაბ კვარაცხელია (დაკავებისას იგი სასტიკად სცემა ქალაქის სამმართველოს უფროსის მოადგილემ მიხეილ სალაძემ) გაასამართლეს მთაწმინდის რაიონის სასამართლოში. მოსამართლე გურგენიძემ მამუკა ხუციშვილს მიუსაჯა 7 დღით თავისუფლების აღკვეთა მეგაფონის ტარებისათვის, დანარჩენებს კი ჯარიმის გადახდა.

ლეილა ცომაია მოგვიანებით მივიდა პოლიციაში პირადი ნივთების გამოსატანად, ხოლო ზურაბ კვარაცხელიამ და ცერცვაძემ საჭმელი და თბილი ტანსაცმელი მიუტანეს მამუკა ხუციშვილს.

მთაწმინდის პოლიციის უფროსის, ელგუჯა ჯამბურიას უპრეცედენტო და კანონსაწინააღმდეგო განკარგულებით სამივე შეაბრუნეს საკანში და თავიდან დააპატიმრეს.

2 ნოემბერს პატიმრებმა საპროტესტო წერილით მიმართეს ჯამბურიას, სადაც აღნიშნულ ფაქტს განიხილავენ როგორც შევარდნაძის რეპრესიული რეჟიმის ნათელ დადასტურებას და მოითხოვენ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას. წინააღმდეგ შემთხვევაში პატიმრები მიმართავენ პროტესტის უკიდურეს ფორმებს.

---

2 ნოემბერს დილით სახლიდან გაიყვანეს და დააპატიმრეს საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი ბიძინა დანგაძე.

## საპროტესტო აქცია მერაბ კოსტავას ეზოში

13 ოქტომბერს საქართველოს ჰელსინკის კავშირის ინიციატივით აღინიშნა საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას დაღუპვის მეხუთე წლისთავი. 12 საათზე მისი სახლის ეზოში გაიმართა სამგლოვიარო მიტინგი, რომლის შემდეგაც შეკრებილი საზოგადოება რუსთაველის პროსპექტის გავლით გაემართა მთაწმინდის პანთეონისაკენ, სადაც პატივი მიაგეს ქართველი ერის საამაყო შვილის ხსოვნას, ყვავილებით შეამკეს მისი საფლავი.

იმავე დღეს, 15.30 საათზე ჰელსინკის კავშირის თოთხმეტმა წევრმა მერაბ კოსტავას ეზოში დაიწყო საპროტესტო მჯდომარე აქცია შემდეგი მოთხოვნებით: გაუქმდეს საქართველოში ამჟამად დეფაქტოდ არსებული შევარდნაძის საოკუპაციო მარიონეტული უკანონო რეჟიმი; რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო ჯარებმა დასტოვონ საქართველოს ტერიტორია; განთავისუფლდეს ყველა პოლიტპატიმარი; ქართველ ხალხს მიეცეს პოლიტიკური ნების თავისუფლად გამოხატვის საშუალება; მოხდეს 1990 წლის 28 ოქტომბერს საყოველთაო დემოკრატიული წესით არჩეული კანონიერი ხელისუფლების აღდგენა.

იმავე დღეს აქციის მონაწილეებს შემოუერთდნენ ნაციონალურ-კონსერვატიული პარტიისა და კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების წარმომადგენლები, კანონიერი უზენაესი საბჭოსა და აფხაზეთის უზენაესი საბჭოს წევრები, შემდგომ დღეებში კი "მრგვალ მაგიდაში" გაერთიანებული ორგანიზაციების: წმ. ილია მართლის საზოგადოების, ეროვნული ფრონტი - რადიკალური კავშირის, ეროვნულ-ლიბერალური კავშირის, გეორგიანული მოძრაობის, დაუმორჩილებლობის კომიტეტის, ეროვნული ხსნის მოძრაობა - წინააღმდეგობის ფრონტისა და ე.პ.მ. "ჭყონდიდელის" წარმომადგენლები, - და კონვენციაზე ხელმომწერ ორგანიზაციათა: საპარლამენტო პარტია "მთიელთა კავშირის", არჩილ ჯორჯაძისა და ნიკო ბურის საზოგადოებათა წევრები, აგრეთვე რეგიონების წარმომადგენლები. დღეისათვის მჯდომარე საპროტესტო აქციაში 72 ადამიანი მონაწილეობს.

31 ოქტომბერს აქცია სასტიკად დაარბიეს ფაქტობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა.- დააპატიმრეს რამდენიმე ადამიანი. მოგვიანებით სახლებიდან აიყვანეს კიდევ რამდენიმე პიროვნება,ვინც აქციაში იღებდა მონაწილეობას.

## შიმშილობა პოლიტპატიმრის სიცოცხლის გადასარჩენად

სამი თვის წინ, საერთაშორისო ორგანიზაცია "ჰიუმან რაითს ვოთჩ ჰელსინკი"-ს მიერ თბილისში გამართულ პრესკონფერენციაზე ე.წ. ადამიანის უფლებათა და ეროვნებათშორის ურთიერთობათა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე სანდრო კავსაძე დაპირდა საზოგადოებას, რომ მიიღებდა სასწრაფო ზომებს იმ ოთხი პოლიტპატიმრის - ნემო ჭანტურიას, ჯემალ ახალაიას, დავით კაჭარაუასა და ზურაბ წირღვავას (ეს უკანასკნელი წამების შედეგად ფსიქიურად დაავადდა და გადაყვანილია ფოთის სპეცდანიშნულების ფსიქიატრიულ საავადმყოფოში) - ჯანმრთელობის დასაცავად, რომლებიც განსჯილნი არიან მისი გატაცების მოტივით. დაპირება ჩვეულებისამებრ არ შესრულებულა არც მას შემდეგ, რაც ნემო ჭანტურიას ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესების გამო კავსაძეს არაერთხელ მიმართა პოლიტპატიმრის ნათესავმა, ჰელსინკის კავშირის წევრმა ქ-ნმა ლალი ლომაძემ. 13 ოქტომბერს კავსაძემ კიდევ ერთხელ დაარღვია პირობა. 14 ოქტომბერს ლალი ლომაძემ ინახულა ნემო ჭანტურია ციხეში: პატიმარი ძლივს ლაპარაკობდა, წელში მოხრილს უჭირდა ჯდომა, ახველებდა, უჩიოდა სისუსტეს, პირიდან სისხლის დენას.

17 ოქტომბერს 10.30 საათზე ლალი ლომაძემ სანდრო კავსაძის კაბინეტის მისაღებში, რამდენიმე ქართველი ჟურნალისტის თანდასწრებით დაიწყო შიმშილობა მოთხოვნით - ნემო ჭანტურია გადაყვანილ იქნეს საავადმყოფოში. კავსაძემ პრობლემის მოსაგვარებლად გამოაგზავნა თავისი მოადგილე ნოდარ გავაშელი, რომელიც არწმუნებდა დამსწრეებს, რომ დაპირებისამებრ მიიღო ზომები ნემო ჭანტურიას საავადმყოფოში გადასაყვანად და ცდილობდა დაკავშირებოდა ქ-ნ ლალის, მაგრამ ვერ მოახერხა. კითხვაზე, თუ კონკრეტულად რა ზომები იქნა მიღებული, გავაშელმა პასუხი ვერ გასცა და მორიგი პირობა მისცა ქ-ნ ლალი ლომაძეს, რომ ორ საათში "გაარკვევდა" ყველაფერს.

17.00 საათზე, როდესაც მეთვალყურე-ჟურნალისტებმა დროებით დატოვეს მოშიმშილე, კავსაძემ თავისთან მოიწვია ქ-ნი ლალი, რომელმაც განაცხადა, რომ მისი აქციის მიზანი არ არის კავსაძესთან შეხვედრა მორიგი დაპირების მოსასმენად და რომ იგი გააგრძელებს შიმშილობას ნემო ჭანტურიას საავადმყოფოში გადაყვანამდე. კავსაძემ თავის მხრივ, ყვირილით მიმართა მოშიმშილე ქალბატონს: "- რას ითხოვ, ვისი უფლების დაცვას ითხოვ, ჩემი მოკვლა რომ უნდოდა, იმისი!" შემდეგ კავსაძე დაემუქრა ლომაძეს, რომ ძალით გაათრევდა შენობიდან.

ვინაიდან კომიტეტის შენობაში აქციის გაგრძელება შეუძლებელი გახდა, ლალი ლომაძემ შიმშილობა გააგრძელა მერაბ კოსტავას ეზოში საპროტესტო მჯდომარე აქციის მონაწილეთა მეთვალყურეობით.

***

18 ოქტომბერს მოშიმშილე ლალი ლომაძე ადამიანის უფლებათა ორ დამცველთან ერთად კვლავ მივიდა ალექსანდრე კავსაძესთან, რომელმაც ისეთივე აგრესიული ტონით ამჯერად განაცხადა, რომ საერთოდ არ არის ვალდებული მოაგვაროს მსგავსი საკითხები, ეს ეხება არა მის კომიტეტს, არამედ შინაგან საქმეთა სამმართველოს.

"საუბარში" აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ მისი მოადგილე ნოდარ გავაშელი, კომიტეტის თანამშრომლები და კავსაძის მეუღლე-რეფერენტი.

***

19 ოქტომბერს მერაბ კოსტავას ეზოში მჯდომარე აქციის მონაწილეთა ინიციატივით გაიმართა საინფორმაციო მიტინგი, რომელზეც სიტყვით გამოვიდნენ აქციაში მონაწილე და მხარდამჭერი ორგანიზაციების წარმომადგენლები, კანონიერი უზენაესი საბჭოს წევრები - ბექან ჯავახია, იოსებ ბარათაშვილი, გურამ მაქაცარია, აქციის მონაწილენი. მიტინგზე გამოკვეთილად ითქვა, რომ "მრგვალი მაგიდისა" და მისი კურსის მხარდამჭერი ორგანიზაციები მიესალმებიან ნებისმიერი პოლიტიკური ძალის მშვიდობიან პროტესტს არსებული უკანონო რეჟიმის მიმართ, მაგრამ არ გადაუხვევენ თავიანთი პრინციპიდან - კანონიერი ხელისუფლების აღდგენა სამართალმემკვიდრეობისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით.

## ნემო ჭანტურია საავადმყოფოში გადაიყვანეს

21 ოქტომბერს პოლიტპატიმარი ნემო ჭანტურია გადაიყვანეს ციხის საავადმყოფოში. ინფორმაციის გადამოწმების შემდეგ ქ-ნმა ლალი ლომაძემ 22 ოქტომბერს, მეექვსე დღეს შეწყვიტა შიმშილობა. როგორც შემდგომ გახდა ცნობილი, ბატონ ნემოსთან საპატიმროში პირადად მივიდა შსს სსსა სამმართველოს უფროსი, გენერალი გივი ყვარელაშვილი და როდესაც დაინახა უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი პატიმარი, ერთ-ერთი ოფიცრის მანქანით სასწრაფოდ გადააყვანინა საავადმყოფოში. უკვე იქ ნემო ჭანტურიამ გააკეთა განცხადება მისი შიმშილობის შესახებ გავრცელებული დეზინფორმაციის თაობაზე, რომ თითქოს იგი შიმშილობდა ირაკლი წერეთლის მხარდასაჭერად. "მე ეს აზრადაც არ მომსვლია. მე ვითხოვდი სანდრო კავსაძესთან შეხვედრას."

ნემო ჭანტურია დღემდე უმძიმეს მდგომარეობაშია, აქვს მაღალი შაქარი სისხლში საჭიროებს დიეტას და სერიოზულ სამედიცინო მეთვალყურეობას.

## "ჩეკისტი ადამიანის უფლებებს ვერ დაიცავს!"

20 ოქტომბერს ე.წ. ადამიანის უფლებათა სახელმწიფო კომიტეტის შენობის წინ ჰელსინკის კავშირისა და მერაბ კოსტავას ეზოში მიმდინარე საპროტესტო აქციის მონაწილეთა ინიციატივით გაიმართა საპროტესტო პიკეტი, რომლის მონაწილეებიც მოითხოვდნენ პოლიტპატიმარ ნემო ჭანტურიას საავადმყოფოში გადაყვანას. მათ ხელში ეკავათ ტრანსპარანტები წარწერებით: "ჩეკისტი ვერ დაიცავს ადამიანის უფლებებს", "ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი - ადამიანის უფლებათა დათრგუნვის კომიტეტია", "მოვითხოვთ პოლიტპატიმრების განთავისუფლებას" და სხვ. მოკლე ინფორმაციის შემდეგ ჰელსინკის კავშირისა და ნაციონალურ-კონსერვატიული პარტიის წარმომადგენლები ჟურნალისტების თანხლებით შეხვდნენ სანდრო კავსაძეს (აღსანიშნავია, რომ იმ დილით საქართველოს რადიომ გაავრცელა ყალბი ინფორმაცია, თითქოს კავსაძე არ იმყოფება თბილისში). ამ დროს საბურთალოს რაიონის პოლიციის მუშაკები (ყველანი სამოქალაქო ტანსაცმელში) მოიჭრნენ მოპიკეტეებთან, დაუხიეს მათ პლაკატები, რამდენიმე მოქალაქეს მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, მაგრამ ვერ აიძულეს ხალხი დაშლილიყო.

კავსაძესთან შეხვედრისას მოპიკეტეთა დელეგაციამ გამოთქვა პროტესტი აქციის დარბევასთან დაკავშირებით, რაზეც კავსაძემ განაცხადა, რომ არაფერი იცის იმის შესახებ, თუ ვინ შეატყობინა მილიციას აქციის თაობაზე და გააგზავნა თანამშრომელი ვითარების გასარკვევად. კითხვაზე, მიიჩნევს თუ არა იგი მისი შენობის წინ მშვიდობიანი პიკეტის დარბევას ადამიანის უფლებათა დარღვევად, კავსაძემ განაცხადა, რომ არ მიიჩნევს.

ნემო ჭანტურიას ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით კავსაძემ განაცხადა, რომ პატიმარ ჭანტურიას უფლებები დაცულია და მის მიმართ საერთოდ არ ჰქონია ადგილი უკანონობას. მისი თქმით, იგი არ არის ვალდებული გასცეს პასუხი ამგვარ შეკითხვებზე, მის კომიტეტს არ ეხება მსგავსი პრობლემები. მოპიკეტეთა დელეგაციამ მიუთითა დამსწრე ჟურნალისტებს შეუსაბამობაზე, რომელიც არსებობს კავსაძის ამ განცხადებასა და პრესკონფერენციებზე მიცემულ რიგ დაპირებებს შორის. კავსაძემ განმარტა, რომ იგი ამგვარ დაპირებებს იძლეოდა მხოლოდ როგორც მოქალაქე, და არა როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე.

მეტიც, იგი დაიმუქრა, რომ ძიებაში დააბრუნებდა ნემო ჭანტურიას საქმეს, რაც კიდევ უფრო გაართულებდა მის მდგომარეობას. დელეგაციის წევრებმა მიუთითეს დამსწრე ჟურნალისტებს, რომ ეს განცხადება ხსნის კავსაძის უმოქმედობის მოტივს - პირად ანგარიშსწორებას ნემო ჭანტურიას მიმართ, რომელიც თავად კავსაძის განცხადებით, უკანასკნელ ლუკმას უყოფდა მას.

შეხვედრას ჩვეულებისამებრ ესწრებოდა კავსაძის მეუღლე-ადვოკატი, რომელმაც თავს უფლება მისცა პირადი შეურაცხყოფა მიეყენებინა დელეგაციის ერთ-ერთი წევრისათვის. პროტესტის შედეგად იგი გახმობილ იქნა ოთახიდან.

ამ შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ კომუნისტები კომუნისტებად რჩებიან და მათ მიერ ადამიანის უფლებათა პრინციპების დეკლარირება ცინიზმი და ხალხის აბუჩად აგდებაა.

დელეგაციის წევრებმა პიკეტზე შეკრებილთ მიაწოდეს ინფორმაცია კავსაძესთან საუბრის შესახებ, რის შემდეგაც აქციის მონაწილენი დაიშალნენ.

***

21 ოქტომბერს მერაბ კოსტავას ეზოს ესტუმრა ფაქტობრივი პარლამენტის ვიცე-სპიკერი ვახტანგ რჩეულიშვილი. იგი გაესაუბრა აქციის რამდენიმე მონაწილეს, მოშიმშილე ლალი ლომაძეს და აღუთქვა ამ უკანასკნელს, რომ მიიღებდა ყველა ზომებს ნემო ჭანტურიას ჯანმრთელობის დასაცავად. აქციის მონაწილეები უშფოთველად შეხვდნენ მოულოდნელი სტუმრის გამოჩენას, გამოუთქვეს მას თავიანთი პრეტენზიები, მოსთხოვეს წამოყენებულ მოთხოვნათა დაკმაყოფილება. აგრეთვე აცნობეს, რომ იმ დღეს უზენაესი სასამართლოს წინ დარბეულ იქნა მშვიდობიანი პიკეტი მოთხოვნით: უზრუნველყოფილ იქნას პოლიტპატიმართა დაცვის უფლება, მოსამართლე დოლიძემ შეწყვიტოს კანონის დარღვევა, გაძევებული განსასჯელები დააბრუნონ სასამართლო სხდომაზე და სხვ., დარბევისას დააპატიმრეს ხუთი პიროვნება - მოპიკეტეები ეთერ მგალობლიშვილი, ლეილა ცომაია, ანა ჭავჭავაძე - და სასამართლო სხდომაზე მიმავალი ორი მოქალაქე - გურამ ტონია და თამაზ გვიმრაძე. რჩეულიშვილი დაპირდა, რომ გამოაშვებინებდა დაკავებულებს.

დაკავებული მოპიკეტეები იმავე საღამოს გაანთავისუფლეს, მხოლოდ სასამართლოზე გაყვანისა და ადმინისტაციული სასჯელის გამოტანის შემდეგ. მოპიკეტეებმა უარი განაცხადეს ჯარიმის გადახდაზე.

## ვინ დაღვარა სისხლი?! "მე არა", - ამბობს ვაჟა ადამია.

19 ოქტომბერს საზოგადოება ცოდნის დარბაზში "პატრიოტთა ლიგის" ინიციატივით მოეწყო ოპოზიციური პარტიების შეკრება, რომელსაც ესწრებოდნენ როგორც საპარლამენტო, ისე არასაპარლამენტო ოპოზიციისა და კანონიერი ხელისუფლების მომხრე პოლიტიკურ ძალთა წარმომადგენლები. მიუხედავად იმისა, რომ ეს იყო პირველი ამგვარი შეხვედრა (თუ არ ჩავთვლით 93-ის სექტემბერში უზენაესი საბჭოსა და პარლამენტის წევრთა არშემდგარ დიალოგს ბათუმში), იგი საკმაოდ მშვიდად დაიწყო, თუმცა, თავიდანვე გამოიკვეთა პრინციპული სხვაობა ფაქტობრივ ხელისუფლებას დაპირისპირებულ ძალთა შორის.

საპარლამენტო ოპოზიციის ერთი ნაწილი აქცენტს აკეთებს შევარდნაძის პიროვნების მიუღებლობაზე და მიიჩნევს, რომ მისი წასვლა ხელისუფლებიდან გადაჭრის უმთავრეს პრობლემებს.

კანონიერების მომხრე პოლიტიკური ძალები ხაზს უსვამენ მთელი მმართველი რეჟიმის - როგორც "სახლმწიფოს მეთაურის" პოსტის, ისე პარლამენტისა და მთავრობის - უკანონობას და აქედან გამომდინარე, იურიდიული ძალის არმქონედ აცხადებენ მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს: სამაჩაბლოსა და აფხაზეთთან დაკავშირებით ხელმოწერილ შეთანხმებებს, საქართველოს შეყვანას დსთ-ში, რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებას, საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ჯარებისათვის სამშვიდობო ძალების სტატუსის მინიჭებასა და მათი ბაზების იურიდიულ გაფორმებას.

"- მხოლოდ სამართალმემკვიდრეობის პრინციპზე დაყრდნობით, კანონიერი ხელისუფლების აღდგენის გზით შევძლებთ საოკუპაციო რეჟიმის პოლიტიკის შედეგების გაუქმებას," - განაცხადა უზენაესი საბჭოსა და "მრგვალი მაგიდის" წევრმა, ნაციონალურ-კონსერვატიული პარტიის თავმჯდომარემ ბექან ჯავახიამ.

აღსანიშნავია, რომ პარლამენტარებს ამ სტრატეგიის საწინააღმდეგოდ არ გამოუთქვამთ რაიმე დასაბუთებული არგუმენტი, გარდა შეგონებისა: "დამხობილი ხელისუფლების აღდგენა გამოიწვევს სისხლის ღვრას". ამდენად გაურკვეველი დარჩა, პარლამენტარები ამ გზას თავისთავად მართებულად თვლიან და მხოლოდ სისხლის ღვრის საშიშროება აფრთხობთ, თუ, უბრალოდ, არ გააჩნიათ დამაჯერებელი კონტრარგუმენტი. ეს თეზისი შეიძლება მუქარადაც იყოს აღქმული, მით უფრო, რომ ბექან ჯავახიას წინადადებას, - "მოდით, ვიფიქროთ, როგორ აღვადგინოთ კანონიერება სისხლის ღვრის გარეშე", - პარლამენტარები ენთუზიაზმით არ შეხვდრიან.

საყოველთაო პოლიტიკური დაუმორჩილებლობის შესახებ ნოდარ ნათაძემ განაცხადა, რომ საერთოდ არ ესმის, თუ რას ნიშნავს ეს და რაში უნდა გამოიხატოს დაუმორჩილებლობა. ძირითადად კი პარლამენტართა პოზიცია გაერთიანებისა და შერიგების ზოგად მოწოდებაში გამოიხატებოდა და, როგორც ჩანს, ახლო მომავალში პირდაპირ გაცხადდება, რომ მათ გაერთიანება არჩევნების იდეის, ანუ უკანონობისა და ოკუპაციის დაკანონების იდეის გარშემო წარმოუდგენიათ.

"პატრიოტთა ლიგის" თავმჯდომარის გიორგი ზაალიშვილის აზრით, არავის აქვს უფლება ამა თუ იმ პოლიტიკურ ორგანიზაციას მოსთხოვოს თავისი პრინციპების დათმობა. საჭიროა ბრძოლის ერთიანი ფრონტის შექმნა და პრაქტიკული, ურთიერთშეთანხმებული მოქმედება.

აზრთა თავშეკავებული გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, "მრგვალი მაგიდის" წარმომადგენლები დაბრუნდნენ მერაბ კოსტავას ეზოში, მაგრამ "ცოდნის" დარბაზში დებატები გაგრძელდა და უფრო მწვავე ხასიათი მიიღო. ირაკლი წერეთლისა და ვაჟა ადამიას განცხადებებმა კანონიერი ხელისუფლების მომხრეთა აღშფოთება გამოიწვია:

ირაკლი წერეთელმა უსაყვედურა კანონიერი ხელისუფლების მომხრეებს, რომ მათ არასაკმარისი თავდადება გამოიჩინეს შევარდნაძის წინააღმდეგ ბრძოლაში. მას არ განუმარტავს, თუ რასთან შედარებით იყო არასაკმარისი "მრგვალმაგიდელების" თავდადება. იქნებ თავად წერეთლის თავდადებულ ბრძოლასთან შევარდნაძის ჩამოსაყვანად?

- ჩვენ ქართველთა სისხლი არ დაგვიღვრია, - განაცხადა ვაჟა ადამიამ, რაზეც დარბაზში მყოფთაგან ერთ-ერთმა, პროფესიით ექიმმა წამოიძახა:

- ვის ატყუებ, თქვენს მიერ მოკლულებმა და დაჭრილებმა ჩემს ხელში გაიარეს.

**რომანოზ საგინაშვილი**

# ამერიკა - იაპონია
# ახალი მსოფლიო წესრიგი თუ?

ძნელია დღეს მკითხველს მიაწოდო ინფორმაცია, რომელიც გულს დაუმშვიდებს და უბედო ცხოვრებისაგან გარინდულ იარებს მოუშუშებს. დღეს, როდესაც ხალხს ცხოვრების ელემენტარული პირობები არა აქვს, ნებისმიერი განზოგადებული თემა, ალბათ, უკურადღებოდ რჩება და აღიზიანებს. არადა ყოველი კონკრეტული პრობლემა ზოგადის განუყოფელი ნაწილია და თუ ადამიანმა ან საზოგადოებამ ეს ზოგადი არ გაიაზრა, თუ სიბრძნით არ გაარჩია კეთილი ბოროტისაგან, თუ დაწმენდილი გონებით არ შეაფასა წარსული და განსაზღვრა მომავალი, ისე ვერ შეძლებს ამ საზოგადოებას, რომელიც მომავალ თაობებს მაინც ააღორძინებს ჩვენს საზოგადოებაში მრავალ მოვლენას წყლულებისა და იარებს.

შევეცდებით არ გამოვიტანოთ კონკრეტული დასკვნები, არამედ მკითხველს მივაწოდოთ ჩვენს ხელთ არსებული მასალა წინასწარმეტყველობით და კომენტარებით. დაე თავად მან განსაჯოს, დაეთანხმება თუ არა ჩვენს აზრს, გაითავისებს თუ უკუაგდებს მას.

ჩვენი ეკონომიკური მიმოხილვების მიზანია მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების, ზრდად ურთიერთსაპირისპირო ტენდენციების და ეკონომიკური მოდელების ანალიზი საქართველოსთან მიმართებით, რომელიც დამოუკიდებელი ქვეყნის ადგილი თანამედროვე სამყაროში, ეკონომიკის საქართველოსთვის შესაძლებელი ეკონომიკური მოდელის მოძებნის, ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების საშუალებებსა და პრაქტიკულ გეგმებზე. ამ მიმოხილვების ციკლს ვიწყებთ შეერთებული შტატებისა და იაპონიის ეკონომიკური ურთიერთობების შეფასებით.

მეორე მსოფლიო ომში ატომური იარაღით დასხეულ იაპონელ ხალხს აღმოაჩნდა სულიერი ძალა, სიყვარული და შემართება, რათა სიბრძნითა და საკუთარი ქვეყნის სიყვარულით დაეძლიათ სიდუხჭირე, რომელსაც მის წინააღმდეგ იარაღი გამოიყენეს; შეძლეს, შეხედეს, მოეხსნა დროის შესატყვისი იარაღი და დაეუფლა კიდეც მტერს.

მართებულია აზრი, რომ პოლიტიკა და ეკონომიკა მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. სწორედ პოლიტიკური ორიენტაციით გამოიხატება, ეკონომიკური მოდელი ნაციონალური ხასიათისაა. შორის "მსოფლიო კაიჩი-ჭეირუებმა" "უცხო" ოქსიდენტიზმის ყველაზე ... იაპონური ეკონომიკური მოდელი მთლიანად ეროვნული ინტე-...რესების დაცვისკენაა მიმართული. მას საფუძვლად უდევს მარტივი პრინციპი: თუ შენი არ გიყვარს - სხვისას ვერ შეიყვარებ.

იაპონური და ქართული კულტურა მეტად განსხვავდება ერთმანეთისაგან, თუმცა ორივე ერს აქვს უმნიშვნელოვანესი საერთო თვისება: ტრადიციის პატივისცემა და სიყვარული. ეს თვისება სათავეს იღებს მდიდარი წარსულიდან, რომლის ფესვებიც საუკუნეების მიღმა იმალება. ჩვენც ჩვენი ქვეყანა სიბრძნით შეიარაღებული და სიყვარულით გამთბარი გვინდა ვიხილოთ, რადგან ამ ორ ცნებას ერთმანეთის გარეშე სიკეთე არ მოაქვს, ხოლო ორივე ერთად გამარჯვებისა და ბედნიერების საწინდარია!

XXI საუკუნის სახელმწიფოდ საქვეყნოდ აღიარებული იაპონია ნაციონალური ეკონომიკური მოდელის მიმდევარია. თუ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიო ბაზარზე იაპონური საქონელი დაცინვის ობიექტი იყო, დღეს მას ძნელად უწევენ კონკურენციას წამყვანი ქვეყნების ფირმები. ეს არის შედეგი ეკონომიკური პოლიტიკისა, რომელსაც საფუძვლად უდევს არა აბსტრაქტული "მსოფლიო იდეოლოგიური ინტერესები", არამედ საკუთარი ქვეყნისა და ერის სიყვარული, ეროვნული ფასეულობები. სწორედ ამგვარი, ეროვნული ორიენტაციის ეკონომიკური მოდელის მომხრე იყო საქართველოს ეროვნული ხელისუფლება და მისი პირველი პრეზიდენტი.

სრულიად განსხვავებულ ეკონომიკურ სტრატეგიას განახორციელებს ამერიკის შეერთებული შტატები და ამ მიმართულების საფუძველს წარმოადგენს თავისუფალი ვაჭრობა და ღია ბაზრის პრინციპები, რომელიც მაქსიმალურად გამორიცხავს ქვეყნის ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევას და გულისხმობს სახელმწიფოთა შორის ვაჭრობის სრულ თავისუფლებას.

თუ რომელი ეკონომიკური მოდელია უმჯობესი, ამაზე მსჯელობა არ იქნება მართებული ორივე ქვეყნის სპეციფიკისა და კონკრეტული რეალიების გათვალისწინების გარეშე. ამიტომ, მოდით ვნახოთ, თუ რა აზრისა არიან აშშ-იაპონიის ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ თავად ამერიკელი ეკონომისტები, კერძოდ, - ერთ-ერთი ყველაზე კომპეტენტური პირი, ცნობილი ამერიკელი მენეჯერი ლიი იოკოკა.

ლიი იოკოკა წარმოშობით იტალიელია. იგი წლების განმავლობაში იყო საავტომობილო კომპანია "ფორდი"-ს პრეზიდენტი, შემდეგ კი კომპანია "კრაისლერი"-ს გამგეობის თავმჯდომარე. მის სახელთანაა დაკავშირებული გაკოტრების პირას მისული ამ კომპანიის აღორძინება. საზოგადოებრივი გამოკითხვით მას იცნობს ამერიკელების 93%, 1986 წელს იოკოკა იყო ამერიკაში რიგით მეორე პოპულარული პიროვნება რონალდ რეიგანის შემდეგ. 1987 წელს შედიოდა ამერიკაში ყველაზე პოპულარულ პიროვნებათა ათეულში - რ. რეიგანთან, რომის პაპ იოანე-პავლე II-თან, ყოფილ პრეზიდენტ ჯ. კარტერთან, ჯ. ბუშთან, მ. გორბაჩოვთან და პრეზიდენტობის ორ კანდიდატთან ერთად. 1984-88 წლებში იოკოკა ითვლებოდა ერთ-ერთ შესაძლებელ კანდიდატად აშშ პრეზიდენტის პოსტზე.

ამჯერად გთავაზობთ ნაწყვეტს მისი წიგნიდან " მენეჯერის კარიერა".

თემურ ჯაფარიძე

## ლიი იოკოკა:

### "...ჩვენ უნდა შევცვალოთ თავისუფალი ვაჭრობა ურთიერთსასარგებლო ვაჭრობით..."

მას შემდეგ, რაც კორპორაცია "კრაისლერში" დავიწყე მუშაობა, გამგზავრება მომიხდა იაპონიაში ფირმა "მიცუბისი მოტორს"-ის ხელმძღვანელობასთან მოსალაპარაკებლად...

...მოლაპარაკება წარმოებდა ქვეყნის ძველ დედაქალაქ კიოტოში. ერთ-ერთი შესვენების დროს სასეირნოდ გავედი ფირმა "მიცუბისი"-ს გამგეობის ენერგიულ თავმჯდომარესთან, ტომიო კუბოსთან ერთად. ბაღებით გარემოცულ წმინდა ადგილებში, სამლოცველოთა შორის სეირნობისას, ვკითხე ჩემს ახალ მეგობარს, თუ რატომ ააშენა კომპანიამ თავისი გიგანტური ქარხანა ამ წყნარ, მყუდრო ადგილას.

..."აი რატომ: - მიპასუხა მან. - ომამდე თქვენი პრეზიდენტი და მისის რუზველტი აქ ჩამოვიდნენ დასასვენებლად. მათ მართლაც შეუყვარდათ ეს ქალაქი და როდესაც ომი დაიწყო, პრეზიდენტმა რუზველტმა გასცა განკარგულება, რომ კიოტო არ დაებომბათ. ჩვენმა სამხედრო დაზვერვამ შეიტყო ამ განკარგულების შესახებ და ხელისუფლებამ გადაწყვიტა ამ ადგილას საავიაციო ქარხნის აშენება, რადგან აქ მისი უსაფრთხოება გარანტირებული იქნებოდა"... (ფირმა "მიცუბისი"-ს ადგილას ომის დროს საავიაციო ქარხანა იყო.)

..."თქვენ როგორ მოიქცეოდით? - მკითხა მან. - ჩვენ იაპონიაში ყველაფერში საკუთარ სარგებელს ვეძებთ. ვერ გამიგია, თქვენი ქვეყანა რატომ არ იქცევა ასევე."

ეს ჩემთვისაც გაუგებარია. სწორედ ამჟამად ჩვენ იაპონიასთან შეურიგებელი ომის პირობებში ვიმყოფებით. ღვთის წყალობით, ეს ომი საბრძოლო საშუალებათა გამოყენების გარეშე წარმოებს. ახლანდელი კონფლიქტი სავაჭრო ომს წარმოადგენს. იმდენად, რამდენადაც ჩვენი მთავრობა უარზეა აღიაროს ეს უდავო ფაქტი, აშკარაა, რომ ჩვენ დამარცხების გზაზე ვდგავართ.

ნუ მოვიტყუებთ თავს: ეკონომიკური ომი იაპონიასთან საშიშროებას უქადის აშშ-ს მომავალს. ჩვენ ძლიერ კონკურენტს შევეჯახეთ და, ალბათ, თანაბარ პირობებში გაგვიმართლებდა კიდეც, თუკი მოვახერხებდით მათთან ერთ დონეზე თავის შენარჩუნებას.

მაგრამ პირობები სულაც არ არის თანაბარი: ბრძოლის ბედი იაპონიის სასარგებლოდ იხრება. ჩვენ ცალი ხელით ვიბრძვით, ხოლო მეორე ზურგზე გვაქვს მიბმული. და განა გასაკვირია, რომ ბრძოლას ვაგებდეთ?

დავიწყოთ იმით, რომ იაპონიის ინდუსტრია მარტო არ მოქმედებს: იგი ეყრდნობა თავის მთავრობას, რომელთანაც საგარეო ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს მეშვეობით მჭიდრო კავშირი აქვს. ამ სამინისტროების ფუნქციებში შედის პრიორიტეტული დარგების განსაზღვრა და მათი დახმარება სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების განხორციელებაში.

ამერიკელმა დამკვირვებელმა ეს ორგანიზაციები შეიძლება აღიქვას წვრილ ბიუროკრატთა თავყრილობად, რომელნიც განუწყვეტლივ ერევიან სხვის საქმეში. სინამდვილეში კი საქმე სხვაგვარადაა. იაპონიაში სახელმწიფო აპარატი ბევრ განათლებულ და ნიჭიერ ახალგაზრდას იკრებს თავის გარშემო. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ეკონომიკური პროფილის სამინისტროები განსაკუთრებული პრესტიჟით სარგებლობენ, შეიძლება გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნას, თუ როგორ ტალანტებს იზიდავს სახელმწიფო სტრუქტურა. მიუხედავად იმისა,რომ მან რამდენიმე კარდინალური შეცდომა დაუშვა, მთლიანობაში მისი ზემოქმედება იაპონიის ინდუსტრიაზე განსაცვიფრებელია.

როდესაც ომის შემდგომმა იაპონიამ მეურნეობის აღორძინება დაიწყო, მთავრობამ განსაზღვრა წარმოების პრიორიტეტული დარგები: საავტომობილო, ლითონჩამომსხმელი, გემთმშენებელი მრეწველობა და მანქანათმშენებლობა. ერთი სიტყვით, იაპონიის მეურნეობა დინების ანაბარა არ მიუშვეს, არ დაუქვემდებარეს საბაზრო ძალების თავისუფალ თამაშს.

მაგრამ იაპონია რუსეთი როდია, რომლის ეკონომიკა აგებულია ყოვლისმომცველ დაგეგმვაზე. სრულიადაც არა! თუმცა, იაპონიას აქვს ორიენტირებისა და პრიორიტეტების სისტემა, რაც მთავრობასა და მრეწველობას საკუთარი ნაციონალური მიზნების მისაღწევად ნაყოფიერი თანამშრომლობის საშუალებას აძლევს.

ამის შემდეგ იაპონური ავტოინდუსტრია რიგი სტიმულებით იქნა გარემოცული: სახელმწიფო სესხებით, ამორტიზაციის ვადების შემცირებით, დახმარებით სამეცნიერო-კვლევით და საგამომცდელო-საკონსტრუქტორო დარგებში, პროტექციონისტული ზომებით იმპორტის საწინააღმდეგოდ, საზღვარგარეთული ინვესტიციების აკრძალვით! ამ კომპლექსური ღონისძიებებით ზემოქმედების შედეგად, იაპონურმა საავტომობილო მრეწველობამ 50-იან წლებში წლიურად 100 ათასი მანქანის გამოშვებიდან ამჟამად წარმოება გაზარდა 11 მილიონ მანქანამდე.

...იაპონელთა კიდევ ერთ მნიშვნელოვან უპირატესობას წარმოადგენს იენის დაბალი კურსის ხელოვნური შენარჩუნება. იაპონიას თავისი ვალუტის მანიპულირებით შეუძლია მუხლებზე დაგაყენოთ. მისი ბანკები და მრეწველობა შეთანხმებულნი არიან შეინარჩუნონ იენის კურსი იმ დონეზე, რომ იაპონიის საექსპორტო საქონელი მიმზიდველი დარჩეს დასავლეთის ბაზრისათვის.

სამწუხაროდ, იენით მანიპულირების ფაქტის დამტკიცება ძალიან ძნელია. ყოველთვის, როდესაც ვაშინგტონში ვჩივივარ ამის თაობაზე, სახელმწიფო თხოულობს მტკიცებებს, ყველას უნდა იცოდეს, თუ როგორ აკეთებს ამას იაპონია!

მე კი წარმოდგენა არა მაქვს. ჩემს განკარგულებაში არ არის საელჩოები: ტოკიოში, ლონდონში, ციურიხში, რომელთაც შეეძლებათ ამ კითხვაზე პასუხის მოძიება. აშშ-ს ფინანსთა სამინისტროში 12.600 თანამშრომელია, ჰოდა ეს საქმე მათთვის მიმინდვია.

...დაბოლოს, არსებობს თავისუფალი ვაჭრობის პრობლემა...

...როდესაც მე მეკითხებიან, რისი მომხრე ვარ - თავისუფალი ვაჭრობის თუ პროტექციონიზმისა, მე ვპასუხობ: არც ერთის. მე წინააღმდეგი ვარ პროტექციონიზმისაც და ასევე ადგილობრივ ბაზარზე შეღწევის კანონმდებლობითი რეგულირებისაც. მაგრამ შეერთებული შტატები მსოფლიოში დარჩა ლამის ერთადერთ ინდუსტრიულ ქვეყნად, რომელსაც არ გააჩნია დღევანდელი სიტუაციის გათვალისწინებით შემუშავებული, კარგად გათვლილი სავაჭრო პოლიტიკა. ჩვენ ერთადერთი ქვეყანა ვართ მსოფლიოში, რომელმაც თითქმის სრულად შეინარჩუნა თავისუფალი ვაჭრობის პრინციპები და ამის გამო დამარცხებულნი გამოვდივართ.

აი, რატომ ვარ მომხრე "ოქროს შუალედის" პოლიტიკისა, რომელსაც ურთიერთსასარგებლო ვაჭრობის პოლიტიკას დავარქმევდი.

...ვნახოთ, რა ხდება სინამდვილეში. ჩვენ ვაგზავნით მათთან ხორბალს, ლობიოს, ქვანახშირს, ხე-ტყეს. მათ კი რა მოაქვთ ჩვენთან? მსუბუქი და სატვირთო ავტომობილები, მოტოციკლეტები, ნავთობის მომპოვებელი მოწყობილობანი და ელექტრონიკა.

კითხვა: რა ჰქვია ქვეყანას, რომელიც ეწევა ნედლეულის ექსპორტსა და მზა პროდუქციის იმპორტს?

პასუხი: კოლონია.

განა გვინდა, რომ ასეთი ურთიერთობა გვქონდეს იაპონიასთან?

გზადაგზა მათ აგრეთვე დაიკავეს ლითონჩამომსხმელი წარმოების ბაზრის მეოთხედი. იაპონელებმა გამოიგონეს აშშ-ში თავიანთი ლითონის კონტრაბანდის ეშმაკური მეთოდი: ლებავენ ლითონს, დგავენ ოთხ ბორბალზე და არქმევენ ავტომობილს.

ჩვენთან თავიანთი "ტოიოტების" გადმოყვანით, იაპონელები, ფაქტიურად, უფრო მეტის ექსპორტს ეწევიან, ვიდრე თავად ავტომობილია: - მათ გადმოაქვთ ჩვენთან უმუშევრობა. მათ მიერ ექსპორტზე გაღებული სუბსიდიები მიზნად ისახავს იაპონიის მოსახლეობის სრული დასაქმების მხარდაჭერას და ეს პოლიტიკა ამართლებს. უმუშევრობა იაპონიაში შრომისუნარიანი მოსახლეობის 2,7 %-ს შეადგენს მაშინ, როდესაც ჩვენთან 3-4-ჯერ უფრო მაღალია.

სხვათა შორის, არ ვისურვებდი, რომ ვინმეს მცდარი წარმოდგენა შეექმნას იაპონელებისადმი ჩემს დამოკიდებულებაზე. რა თქმა უნდა, მე მაბრაზებს მათ მიერ თამაშის წესების დარღვევა და ის, რომ ჩვენ პასიურად ვადევნებთ თვალს ყოველივე ამას. მაგრამ, ფაქტობრივად, იაპონელები აბსოლუტურად მართებულად მოქმედებენ. ისინი, უბრალოდ, როგორც ტომიო კუბო ამბობდა, საკუთარი სარგებლობის პრინციპით ხელმძღვანელობენ და ამ პრინციპის შესაბამისად მიჰყავთ საქმე...

...მე იაპონელების დიდი თაყვანისმცემელი ვარ. რატომ? იმიტომ, რომ მათ იციან თავიანთი წარსული, იციან თავიანთი აწმყო და იციან, თუ საით მიდიან. რაც მთავარია, მათ განკარგულებაშია ნაციონალური სტრატეგია საკუთარი მიზნების მისაღწევად.

არ ვიცი, ჩვენ როდის გამოვერკვევით ძილიდან,

---

...ბევრს ერს ქვეყანაზედ სულაც არა ჰქონია წარსული, სულაც არა ჰქონია ისტორია, ესე იგი იმისთანა ცნობიერი ცხოვრება, რომელიც გამოსახავს ხოლმე სულიერს და ხორციელს ვინაობას ერთიანის კრებულისას, მის მიზიდულობას, მის აზრს და საგანს არსებობისას, მის წმიდათა წმიდას, და რომელიცა მკის თავის დროებისათვის და ამასთანავე სთესს მერმისისათვის. ამისთანა ხალხნი დღესაც ბევრნი არიან ქვეყანაზედ, ამისთანა ხალხი უბინაო კაცსა ჰგავს, რომელმაც არ იცის - ვინ არის, რისთვის არის, საიდამ მოდის და სად მიდის. ამიტომაც ეხეთი ხალხი ბევრით არ გამოირჩევა პირუტყვისაგან და იქნება ბევრში უკანაც ჩამოურჩება. ულმობელი კანონი ისტორიისა ამისთანა ხალხს ვერ დაინდობს ეხლანდელ დროში, და სხვა უფრო ძლიერის ისტორიის მქონე დაეძგერება თუ არა, თანაც გაიტანს და შეიწირავს ამისთანა ხალხსა...

ილია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ იმედი მაქვს, რომ ეს მალე მოხდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენს ეკონომიკურ არსენალში დარჩება ძირითადად ბანკები, - რომლებიც კლიენტებს პირდაპირ ავტომობილებში მოემსახურებიან, - სასადილოები ჰამბურგერებით და იაფფასიანი ვიდეოთეკები.

ნუთუ ასეთი გვინდა ვიხილოთ ამერიკა XX საუკუნის დასასრულს?

რედ. ახლო მომავალში შემოგთავაზებთ ნაწყვეტებს ავსტრიელი ბიზნესმენის ვოლფგანგ ჰოიერის წიგნიდან "როგორ ვაწარმოოთ ბიზნესი ევროპაში". ეს მასალა შეეხება ევროპაში მიმდინარე ინტეგრაციის პროცესებს, საერთო ბაზრის შექმნას, თუ საითკენ არის მიმართული ეს პოლიტიკა და რა არის ჩადებული მის იდეაში.

## ილია ჭავჭავაძე

...არის ერთი იმისთანა მოვლენა, რომელსაც ვერავინ უარს ვერა ჰყოფს და რომელიც დღესაც უკვირს ყველას, ვისაც კი ამ მოვლენისათვის თვალი დაუკვირვებია.

უეჭველია, რომ ჩვენს ხალხს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია თავისის ცხოვრებითა და თვითმოქმედებითა. უეჭვლია, რომ ორი ათას წელს იმისთანა ხანა ისტორიისა არ დასდგომია, რომ მტრისაგან მოსვენებული ყოფილიყოს ხელ-მიყოლებით თუ განუწყვეტლივ ასი წელიწადი მაინც ერთად.

საქართველო დღე-და-ღამ იარაღით ხელში იდგა, მტერი ყოველ მხრიდან მოწოლილი იყო. ჩვენი ხალხი თითქმის ორი ათასი წელი იბრძოდა, ომობდა, სისხლსა ღვრიდა, და ბოლოს მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს თვითმყოფობითი სული ისე დალია, რომ ჩვენს ქვეყანას არავისი გალი და ვაზში არ დასდებია.

ვსთქვათ მკლავმა და გულმა შესძლო ეს გოლიათობა, საკვირველი ეს არის - რა ღონებამ გაუძლო ამისთანა ყოფასა? რა ჰკვებავდა ხალხსა, რა ღონებით უძლევდოდა ამოდენა ომებსა და სისხლის ღვრასა? ეს ერთი მუჭა ხალხი თითქმის ქუდზედ კაცად უნდა მდგარიყო იარაღით ხელში, რომ მტრისაგან მტვრად არ აღგვილიყო, - და საზრდოებას ვინ აძლევდა და რა აძლევდა?

ყოველს ამ საგანზედ უეჭველი და გულდადებითი პასუხი მეტად ძნელია. ამ შემთხვევაში ჩვენი "ქართლის ცხოვრება" ხელს ვერაფრით შეგვიწყობს. ერთს იმისთანას არას გვაწიშნებს, რომ საბუთად ვიხმაროთ უეჭველის დასკვნისათვის. მხოლოდ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამისი პასუხი ჩვენს ეკონომიკურს აგებულებასა და წყობაში უნდა მოიძებნოდეს. უეჭველია, ჩვენი უწინდელი ეკონომიკური წყობა ისეთი ყოფილა, რომ ხალხს იქიდამ ჰქონია ის ღონებითი ძალ ღონე, რომლითაც იგი გასძლოლია ამოდენა გაი-გაგლახსა და ომებსა ამოდენა ხნის განმავლობაში. აი, საგანი ღირსშესანიშნავი და მეტად საინტერესო გამოსაკვლევად. ეს საგანი რომ თვალწინ ჰქონდეს ჩვენს ეხლანდელ მეისტორიეს, ამ საგანზედ რომ უეჭველი პასუხი მოგვცეს ვინმემ, ბევრს ნათელს მოჰფენდა აწმყოსა და მომავალსაც გზას გაუნათებდა...

## ბუტროს გალის ვიზიტი რეჟიმის გამკაცრებას ემსახურება

თბილისი,
1994 წლის 1 ნოემბერი

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტს,
ადამიანის უფლებათა
საერთაშორისო საზოგადოების საერთაშორისო სამდივნოს
საქართველოს ჰელსინკის კავშირის
ადამიანის უფლებათა საერთაშორისო საზოგადოების ასოცირებული წევრი ორგანიზაციის

მიმართვა

1994 წლის 13 ოქტომბრიდან საქართველოს ჰელსინკის კავშირის ინიციატივით საქართველოს ეროვნული გმირის, მერაბ კოსტავას ეზოში მიმდინარეობდა მჯდომარე საპროტესტო აქცია შევარდნაძის რეჟიმის გადადგომის, პოლიტპატიმრების განთავისუფლების, საქართველოდან რუსეთის საოკუპაციო ჯარის გაყვანის და კანონიერი ხელისუფლების აღდგენის მოთხოვნით.

29 ოქტომბერს, აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით გაეროს გენერალურ მდივანთან შეხვედრის მოთხოვნით შიმშილობა გამოაცხადა საქართველოს ჰელსინკის კავშირის წევრმა, ანა ჭავჭავაძემ.

31 ოქტომბერს, გაეროს გენერალური მდივნის საქართველოში ვიზიტის დღეს თბილისის ომონისა და გვარდიის შეიარაღებულმა რაზმებმა სასტიკად დაარბიეს აქციის მონაწილეები, მრავალი მათგანი უმოწყალოდ იქნა ნაცემი ხელკეტებით. განსაკუთრებული სისასტიკით გაუსწორდნენ ლტოლვილებს აფხაზეთიდან.ნაცემთა შორის იყო სააგენტო რეიტერის საკუთარი კორესპონდენტი თბილისში, რომელსაც დაუმტვრიეს ვიდეოგადამღები აპარატურა.

დაპატიმრებულ იქნენ ანა ჭავჭავაძე, ლეილა ცომაია,მურმან მზარელუა, ნონა დოჭვირი, მამუკა ხუციშვილი, ზურაბ კვარაცხელია, ლია ბერუაშვილი და ქართული სამართალდამცავი ორგანიზაციების სხვა აქტიური წევრები.

ზოგიერთი მათგანი იმავე ღამით გაათავისუფლეს. ყველა დაპატიმრებული იყო ნაცემი.

აქციის მონაწილეებისადმი ესოდენ მკაცრი მოქცევის შემდეგ სისხლის სამართლის სამძებროსა და უშიშროების სამსახურის წარმომადგენლებმა ბინებში მიაკითხეს ჰელსინკის კავშირის ბევრ აქტივისტს.ამ ვიზიტების შედეგად დაპატიმრებულ იქნენ ნუგზარ ცერცვაძე, გიორგი კობახიძე, ლეილა ცომაია, მამუკა ხუციშვილი, ზურაბ ურუშაძე...სულ დაკავებულია 30 კაცზე მეტი.

იმავე დღეს საქართველოს ტელევიზიით გამოვიდა თბილისის პოლიციის უფროსი, გენერალი მიქაძე, რომელმაც განაცხადა, რომ პოლიცია ამის შემდგომ არ დაუშვებს თბილისში მანიფესტაციებისა და მიტინგების გამართვას, რომელთა ჩატარების ყოველი მცდელობა ანალოგიურად იქნება აღკვეთილი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოგიწოდებთ ხმა აღიმაღლოთ შევარდნაძის რეჟიმის ბარბაროსული,ანტიჰუმანური პოლიტიკის წინააღმდეგ.

## ჩეჩნეთის ხელისუფლება არ დასთმობს პოზიციებს

ჩეჩნეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკა იჩქერიას პრეზიდენტმა ბატონმა ჯოჰარ დუდაევმა ინტერვიუ მისცა რადიო "თავისუფლების" რუსული რედაქციის კორესპონდენტს. ეს ინტერვიუ გადაიცა ხსენებული რედაქციის პროგრამა "ლიბერტი ლაიფ"-ის ა.წ.24 ოქტომბრის გამოშვებაში. გთავაზობთ მის ქართულ თარგმანს:

"აი, როგორი კომენტარი გაუკეთა ჩეჩნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჯოჰარ დუდაევმა რესპუბლიკაში შექმნილ სიტუაციას პროგრამა "ლიბერტი ლაიფისთვის" მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში.

პრეზიდენტი: - კრემლს არ აქვს სხვა გამოსავალი გარდა იმისა,რომ ჩეჩნეთის რესპუბლიკასთან აწარმოოს მშვიდობიანი მოლაპარაკებები. ეს, უპირველეს ყოვლისა, თავად რუსეთის ინტერესებში შედის. მეტადრე ისეთ გართულებულ სიტუაციაში, როგორიც მას ემუქრება. ბრძოლაში, სადაც ჩვენს წინააღმდეგ მოქმედ არა ოპოზიციას, არამედ დაქირავებულ ბანდებს ეხმარებიან და ახდენენ ღია ინტერვენციას, ისინი აუცილებლად წააგებენ. ამ ომში არანაირი შანსები არ გააჩნიათ. თავად რუსეთიც უარს აცხადებს იმ ლიდერებზე, რომელნიც აქ არიან გამოგზავნილი დესტაბილიზაციისათვის.

მოსკოვი დღეისთვის ათამაშებს ყველა არსებულ ვარიანტს და არ არსებობს ძალები არც ჩეჩნეთში, არც მის საზღვრებს მიღმა, რომლებზე დაყრდნობითაც შესაძლებელი გახდება მოვლენათა განვითარების ახალი სცენარის შეთხზვა.

მათი ეს ლიდერებიც, რომლებსაც მოსკოვი საიდანღაც ჩეკავს, კრიმინალები არიან, მათზე დიდი ხანია არსებობს სისხლის სამართლის საქმეები მოსკოვში,- ათობით სისხლის სამართლის საქმე მსხვილი მაქინაციებისათვის, დატაცებებისათვის, მსხვილი პროვოკაციებისათვის, სახელმწიფო დანაშაულისათვის. სწორედ ისინი, დიდძალი გასამრჯელოს ფასად, აქეზებენ კრემლს და რუსეთის მმართველ წრეებს. თუ მოხდება თანხმობის მიღწევა იჩქერიასა და რუსეთს შორის, ისინი უფუნქციოდ დარჩებიან." ამიტომ მათ სურთ დესტაბილიზაცია, მათ სურთ პროვოკაცია.

ჩვენს, ჩეჩნების სასარგებლოდ ის ვითარებაც მოქმედებს რომ მავანთათვის სავსებით უცხოა ჩვენებური ინსტიტუტი. ჩვენ სრულიად სხვა ხალხი ვართ. ასეთი სხვანაირი ხალხისათვის კი სხვაგვარი სტანდარტია გასათვლელი. თუ ერთმა ვარიანტმა არ გაამართლა, მიმართავენ მეორეს, მესამეს და ასე შემდეგ.

კორესპონდენტი: - პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მისთვის უცნობია უზუცესთა რაიმე გადაწყვეტილება მისი გადადგომის მოთხოვნით. რესპუბლიკაში არსებული ვითარება ჯოჰარ დუდაევმა დაახასიათა, როგორც მშვიდი, რომელიც, რუსეთისგან განსხვავებით, გამორიცხავს რაიმე სტრესულ სიტუაციას.

პრეზიდენტი: - გარწმუნებთ, რომ ყველა მიმართვას, მიღებულს უხუცესთა საბჭოს მიერ, ისინი ათანხმებენ ჩემთან. სხვა მიმართვებს, რომლებიც თითქოსდა გამოქვეყნდა, მე არ ვიცნობ. სიტუაცია ჩეჩნეთში თანდათან მშვიდდება. ჩვენ ვემზადებით ზამთრისათვის, ვაგვარებთ ეკონომიკურ პრობლემებს. ბანდფორმირებებს უეჭველად ავლაგმავთ უახლოეს მომავალში და საერთო მდგომარეობაც გაუმჯობესდება. არ არის მოსალოდნელი არანაირი სტრესული სიტუაცია. თავად რუსეთში კი, დღევანდელი მათი პრობლემებიდან გამომდინარე, შესაძლებელია მოვლენათა მკვეთრი გართულება.

## სად გადის რუსეთის საზღვარი

როგორც გაზეთი "იზვესტია" 15.10.94) იტყობინება, 11 ოქტომბრის საღამოს ქ. ფოთში "რუსეთის სასაზღვრო პუნქტთან მოხდა შეტაკება მესაზღვრეებსა და ზუგდიდის მაცხოვრებლებს შორის". შეტაკების მიზეზად დასახელებულია ადგილობრივთა მცდელობა, შეეღწიათ სასაზღვრო პუნქტის ტერიტორიაზე. რუსეთის სასაზღვრო ჯარების პრეს-ცენტრში თავდამსხმელებს "მთვრალი ხულიგნური ელემენტების ბრბო" უწოდეს. თავდასხმის მიზანი დღემდე გაურკვეველია. შს ადგილობრივი ორგანოები იძიებენ საქმეს. მესაზღვრეები თავდასხმის ორ ვერსიას ასახელებენ - იარაღის წართმევას, ან ვინმეს დაშინებას.

შეტაკებისას დაიჭრა ერთ-ერთი თავდამსხმელი, რომელიც მოგვიანებით საავადმყოფოში გარდაიცვალა.

"იარაღის გამოყენების მართებულობის შემსწავლელი სასაზღვრო ჯარების ხელმძღვანელობის აზრით, მოქმედებები წარიმართა რუსეთის კანონებთან სრულ შესატყვისობაში." - დაასკვნის გაზეთის კორესპონდენტი. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, ვიმარჩიელოთ, სად გადის რუსეთ-საქართველოს საზღვარი - ფოთში თუ კიდევ უფრო ახლოს, და კიდევ რომელი სხვა ქვეყნის კანონები მოქმედებს საქართველოში.

## თავდაცვის მინისტრი კოდორის პრობლემებს აგვარებს

ნეზავისიმაია გაზეტა" (15.10.94) იტყობინება: "საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ვარდიკო ნადიბაიძემ განაცხადა, რომ კოდორის ხეობაში არსებული ქართული შეიარაღებული ფორმირებები მას არ ემორჩილებიან და შესთავაზა აფხაზეთის სამართალდამცველ ორგანოებს, თავისი შეხედულებისამებრ გადაწყვიტონ მათი ბედი".

## თბილისი, 31 ოქტომბერი

ნილბიან ომონელთა თავდაუზოგავი გარჯის მიუხედავად, დარბეული აქციის მონაწილეთა წარმომადგენელი ბ-ნი ჯემალ გამახარია დაესწრო შეხვედრას გაერო-ს გენერალურ მდივანთან - ბუტროს ბუტროს გალისთან და გადასცა მას აფხაზეთიდან დევნილთა მოთხოვნები.



(დასაწყისი 1 გვ.)

# ზვიად გამსახურდია
# საქართველოში მე მინდა ნამდვილი "ჰაიდ პარკი"

და ეს მაშინ, როდესაც ვიცით, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ბევრი მათგანი ჩვენ მხარში ამოგვიდგა. კომუნისტური პარტიის მრავალი წევრიც ჩვენს გვერდით დგას. მილიციის, პროკურატურის თანამშრომლები ეროვნული მოძრაობის გვერდით იდგნენ - ზოგი ფარულად, ზოგი აშკარად. განა ეს ჩვენ არ ვიცით, მეგობრებო? განა ამაზე ჩვენ თვალს ვხუჭავთ, მეგობრებო? აბა, ვინ არის აქ ისეთი, რომელსაც ჰქონდეს რაიმე გეგმა მათზე შურისძიების? არც ერთი ჩვენთაგანი არ არის. მე ვიცი ეს, მეგობრებო, მე ვარ უწინარეს ყოვლისა ყველაფრის ამის მოწმე და მე ვიცი ეს უპირველეს ყოვლისა.

არ დავმალავ და ვიტყვი, ბევრი თვით აი ამ ხელისუფლებაში, რომელიც მართალია კრემლს ემსახურება, თვით აქაც ბევრია ჩვენი მხარის დამჭერი. ნუ დავხუჭავთ ამაზე თვალს, ნუ უკუვაგდებთ მათ. პირიქით - მოვიახლოვოთ, ჩავაყენოთ ეროვნული მოძრაობის და ეროვნული ძალების სამსახურში, ეს არის მთავარი მიზანი ახლა, ამაზე უნდა ვიმუშაოთ, რათა იმპერიამ ვერ მიაღწიოს ისევ განხეთქილებას, ვერ შეინარჩუნოს ის განხეთქილება, რომელიც დათესა თუნდაც იგივე კონგრესთან; იმ ხალხთან, ვისთანაც პოლემიკა გვაქვს.

მეგობრებო, მერაბ კოსტავა იტყოდა ხშირად: "საქართველოში ჩვენ გვინდა ნამდვილი დემოკრატია, ნამდვილი "ჰაიდ პარკი". მას უყვარდა ამ სიტყვის ხშირად ხმარება - "ჰაიდ პარკი", მასში გულისხმობდა აზრის თავისუფალ გამოთქმას, თავისუფალ პაექრობას ყოველგვარი ურთიერთსიძულვილის გარეშე.

მაგრამ ვაი, რომ ამ იმპერიისგან მოწამლულნი ვართ ყველანი და ვერ განვთავისუფლდით ამ ჩვევისაგან. საკმარისია ურთიერთის მიმართ გამოვთქვათ განსხვავებული აზრი, რომ მტრებად ვიქცევით. არ არის ეს ლამაზი, მეგობრებო. გამოთქვას სხვამ ჩვენს შესახებ ცუდი აზრი, გამოთქვას ცუდი შეხედულება - მოდით, ნუ გაუხდებით სასტიკ მტრად, ნუ დაუპირისპირდებით. საქმით დავარწმუნოთ, რომ ის ცდება! მოდით, აი ასე ვიდოდეთ ჩვენ ცხოვრებაში, მოდით, ნამდვილი "ჰაიდ პარკი" შევქმნათ, სადაც თვით უკიდურესად მწვავე შეხედულებაც კი ჩვენზე, არ იქნება ჩვენთვის საწყენი - თუნდაც უარყოფითი შეხედულება. აი, ასე გაიმარჯვებს დემოკრატიის იდეალები საქართველოში.

მე იმას არ ვამბობ, მეგობრებო, რომ ღალატი ვაპატიოთ ვინმეს, მაგრამ მოდით დავამკვიდროთ მეტი შემწყნარებლობა გამოთქმული აზრისადმი, მეტი სიყვარული მოწინააღმდეგისადმი, მეტი ურთიერთგაგება.

უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანი ზოგჯერ ცდება. ზოგჯერ ცდება უნებლიეთ, ზოგჯერ ცდება ემოციებით და იმ წუთისთვის და იმ წამისთვის, როდესაც მან უარყოფითი პოზიცია გამოავლინა ჩვენს მიმართ, მას ნუ შევიძულებთ, ეს ჩვენი დევიზი უნდა იყოს! და მხოლოდ ამ გზით მივაღწევთ ეროვნული მოძრაობის გამთლიანებას. მხოლოდ ამ გზით მივაღწევთ საქართველოს ერთ მთლიან მუშტად შეკვრას და იმპერიული ძალებისადმი დაპირისპირებას. სხვაგვარად არაფერი გამოგვივა.

ძალიან დიდი, დიდი ბრძოლა მოგველის, მეგობრებო. ბრძოლა არ დამთავრებულა. ბრძოლა ახლა დაიწყო და თუ ახლა არ იქნა ჩვენში ერთიანობა, ჩვენ ვერ გავიმარჯვებთ. ქართველი ერი, მთელი ქართველი ერი უნდა დაირაზმოს ამ პარლამენტის გარშემო. პარლამენტს უდიდესი საქმეები აქვს გასაკეთებელი. ასეთ პირობებში ჩვენ არ გვაქვს უფლება პიროვნულ ემოციებს ავყვეთ. ჩვენ უნდა ავმაღლდეთ ყოველგვარ პიროვნულზე, პიროვნულ წყენაზე მაღლა, მეგობრებო. პიროვნულ წყენას და შეურაცხყოფას ვინც ვერ აპატიებს მოყვასს, იმას პოლიტიკაში და ეროვნულ მოძრაობაში ადგილი არა აქვს. ეს გახსოვდეთ ყველას. ყველას გახსოვდეთ ეს.

ამას იმიტომ ვქადაგებ, რომ ჩვენს შორის აღვივებენ შუღლს. იმპერია ცდილობს ურთიერთშუღლისა და მტრობის მორევში ჩაგვახრჩოს. ეს ვერ უნდა შესძლოს მან! მას სურს, ამ გზით დაღუპოს ეროვნული მოძრაობა და საქართელო. ეს მან ვერ უნდა შესძლოს. ეს არის ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა და მიზანი.

მოკლედ არჩევნების შესახებ: მეგობრებო, ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ ჩვენ წარმოგვადგინონ როგორც ფაშისტები, მუსოლინის მიმდევრები, რომ თითქოს გადაწყვეტილი გვაქვს არაქართველების გაჟლეტა, გაგდება საქართველოდან. მეტი მუშაობაა საჭირო არაქართველებთან, უნდა განვუმარტოთ მათ ჩვენი ეროვნული მოძრაობის გზა. ბევრ ადგილას შეიძლება ჩატარდეს ხელახალი არჩევნები.

ცდილობენ, არაქართველებში შიში გააღვივონ. თუ ჩვენს კანონიერ უფლებებს ვიცავდით, თუ ჩვენ მიწების გამყიდველების წინააღმდეგნი ვიყავით, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ჩვენ არაქართველ მოსახლეობას ვემუქრებით. ვიცავდით და დავიცავთ ჩვენს უფლებებს. სხვათაშორის, გარკვეულ წარმატებებსაც კი მიაღწიეს. მაგრამ, როგორც უნდოდათ, ისეთი მასშტაბებით ვერა. სირცხვილი იმ კომუნისტებს, რომლებიც ამას სჩადიოდნენ, რომლებიც აშინებდნენ ჩვენით არაქართველ მოსახლეობას.

ისიც იმპერიის გამარჯვებაა, რომ სამაჩაბლოში ძალიან აგრესიულად დახვდნენ უცხოელ დამკვირვებლებს. ძალიან დიდი წინააღმდეგობა იყო. ამ რაიონებში უნდა ჩატარდეს ხელახალი არჩევნები. ასევე მოხდა ახალციხეში. ხალხს ეუბნებოდნენ, რომ არაფორმალები თქვენი მტრები არიანო; აგიტაცია გრძელდებოდა თვით არჩევნების დღესაც.

გამარჯვება უდიდესია, მაგრამ პრინციპის ამბავია, რატომ უნდა თქვან უცხოელებმა - ქართველებს იმიტომ არ დაუჭირეს მხარი ამ რეგიონებში, რომ ისინი არაქართველების მტრები არიან?

ჩვენ ჩვენი სამართლიანობა უნდა დავამტკიცოთ, ჩვენ არ გვინდა რამის გაყალბება, ჩვენ სამართლიანი არჩევნების მომხრენი ვართ.

დაზუსტებული პროცენტები არ არის ჯერ გარკვეული, მაგრამ ზოგან 80%-ზე ნაკლები რომ არ არის - ეს ჩვენ ვიცით. ეს ოდნავ საწყენიცაა, მეგობრებო. ჩვენ ხომ 100%-ს ველოდით.

სხვა პარტიებს ჩვენ შევთავაზეთ ერთ ბლოკში ყოფნა, რათა ერთად გვებრძოლა. არ მოინდომეს და თავად წააგეს. მაგრამ ყველას გავუწვდით ძმობის ხელს, არავის ზურგს არ შევაქცევთ. ყველა ნიჭიერ, ყველა უნარიან ადამიანს მოვიწვევთ თანამშრომლობისათვის, რომელი პარტიისა და რომელი მიმდინარეობის წევრიც არ უნდა იყოს.

აი, გვეკითხებიან - კომუნისტებს მოხსნიან, გააძევებენ სამსახურიდანო? კარგი სპეციალისტი, იმის გამო, რომ ის ჩვენი ბლოკის წევრი არაა, არ მოიხსნება სამსახურიდან. მაგალითად, აკადემიკოსი, ყელ-ყურ-ცხვირის ექიმი ხეჩინაშვილი კომუნისტია და რომელი ჭკუათმყოფელი ადამიანი იფიქრებს ამის გამო მის მოხსნას თანამდებობიდან - მხოლოდ იმიტომ, რომ კომუნისტია... მაგრამ თუკი ვინმე ისეთი იჯდებოდა იქ, რომელიც თავისი უნიჭობით ღუპავს ავადმყოფს, უვიცია და მხოლოდ კომპარტიის ძალით არის იქ გაბატონებული - იმას კი მოვხსნიდით სამსახურიდან. აი, ეს არის ჩვენი პრინციპი. კი, ბატონო, თუ უყვართ კომპარტია, იყვნენ და ილოცონ იმ მარქსზე და ლენინზე და იყვნენ სამუდამოდ იქ. ასე რომ, თავისუფლება იქნება შეხედულების, რწმენის, აღმსარებლობის, რელიგიისა. საქართველოს სხვაგვარად არც უარსებია. ეს არის ჩვენი იდეალი. სრული თავისუფლება, სრული შემწყნარებლობა.

მაგრამ ამავე დროს საჭიროა ეროვნული დისციპლინა. პასუხისმგებლობაა საჭირო. იმასაც გეტყვით, რომ ჩვენიანს უფრო მეტს მოვთხოვთ, უფრო მკაცრად, ვიდრე გარეშეს და ვიდრე მოწინააღმდეგეს. რადგან ჩვენიანს უფრო მეტი მოეთხოვება, რადგან თუ მან დადო თავი ეროვნული მოძრაობისათვის და ეროვნული საქმისათვის, კეთილი ინებოს და თავისი ვალი აღასრულოს პირნათლად და იყოს ყოველგვარი კრიტიკის გამძლე და ამავე დროს იყოს სრულყოფილი, სუფთა და თავდადებული.

ეს არის ჩვენი პრინციპები და იმასაც არ დავივიწყებთ, რომ დღეს ჩვენი უმთავრესი მიზანი არის საქართველოს რელიგიური და ეროვნული აღორძინება, სარწმუნოებრივი აღორძინება, ჭეშმარიტი ქრისტიანობა, მეგობრებო. ისტორიულად საქართველო მუდამ ამით იმარჯვებდა. დღესაც ამით გავიმარჯვეთ.

გახსოვდეთ, რომ არ ყოფილიყო ზენა ძალის მფარველობა, ჩვენ ვერ გავიმარჯვებდით. ღვთის მფარველობის იმედი მუდამ გქონოდეთ ყველას და გახსოვდეთ, რომ მთავარია ეს, ამის გარეშე ვერ გავიმარჯვებთ. თუ არ ვიქნებით მორწმუნენი და უზენაესი ძალის მოსავნი. და ისევ რუსთაველს მოვიშველიებ, - რადგან ის არის ჩვენი ფარი, ჩვენი ხმალი და ჩვენი გამარჯვების პირველი საწინდარი. ამ სულით მიდიოდა ქართველი და იმიტომ მოაღწია დღემდე:

"კაცო, ძალსა ნუ იქადი, ნუცა მოჰკვეხ ვითა მთრვალი!
არას გარგებს ძლიერება, თუ არ შეგწევს ღმრთისა ძალი!
დიდთა ხეთა მოერევის, მცირე დასწვავს ნაბერწკალი,
ღმერთი გფარავს, სწორად გაჰკვეთს, შეშა ვის ჰკრა,
თუნდა ხმალი".

დიდთა ხეთა მოერევის, დიდ იმპერიას მოერევი მცირე ნაპერწკალი - საქართველო!

გაუმარჯოს იმპერიის დამხობას!

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

---

### To the President of All Georgians' International Congress Mr. R.Chkheidze

Dear Sir,

Thank you for your invitation to the Congress. I join my voice to those who consider that in a country where elementary human rights are fully ignored, participation in Congress is against any moral norms.

You could do me a great favour by transfering the sum intended for covering my expenses to the much tortured political prisoners, to recover their shattered health.

I pray for the day when we meet each other in a free, independent and truly democratic Georgia.

With deep respect
Jolanda Marchev.

(Professor Jolanda Marchev is a well-known philologist and Kartvelologist. She, for a long time, headed the department of the Georgian Philology in the University of Zurich.)

# TAVISUPALI SAKARTVELO N3 - FACTS IN BRIEF

### Hunger Strike to save political prisoner s' life.

At the press - conference held in Tbilisi, three months ago, by the Human Rights Watch-Helsinki Sandro Kavsadze, the chairman of the so-called State Committee on Human Rights and Inter-Ethnic Relations promised the gathered society that he would take measures concerning the health condition of the four polit-prisoners: Nemo Chanturia, Jemal Akhalaia, David Kacharava and Zurab Tsirghvava (the latter as a result of torture suffers, mental disorder and is transfered to Poti Special Psychiatric Hospital).

The above-mentioned prisoners are accused of A.Kavsadze's kidnapping.

A.Kavsadze's promise remained empty, as it usually does, even after he's been approached by Nemo Chanturia's relative, Helsinki Union member, Lali Lomadze, after the accused's health condition became critical.

On October 13, Mr Kavsadze once again broke his promise. On October 14, Ms. Lali Lomadze visited Nemo Chanturia at prison. The accused was in highly critical condition. He could hardly speak, had problems to sit up, had a terrible cough and suffered general weakness and blood vomiting.

On October 17, at 10.30 a.m. Lali Lomadze started a hunger strike in the reception room of A.Kavsadze's office, demanding that N.Chanturia be transfered to the hospital. L. Lomadze went on the strike in the presence of a group of Georgian journalists. A.Kavsadze sent his deputy, Nodar Gavasheli, to settle the problem and the latter tried to convince Ms.Lomadze that all the necessary measures had been taken for transfering N.Chanturia to the hospital.

After a heated argument with A.Kavsadze, L.Lomadze continued her protest action at Merab Kostava's birth-place.

On October 18, Lali Lomadze together with two other defenders of Human Rights came, once again, to meet A.Kavsadze in his office, the latter with the same aggressiveness declared that the matter didn't lay within his competence at all, and that the Department of Internal Affairs should be approached instead.

A. Kavsadze declared that Chanturia's rights were observed and no illegal actions were taken against him, and that Mr. Kavsadze and his organization were not obliged to answer the protesters' questions; adding, that it wasn't his Committee's problem at all; he acted as an ordinary citizen and by no means as a chairman of the Committee on Human Rights.

This meeting was one more confirmation to the fact that the communists remain the same and declaration of Human Rights by them is nothing more but mockery and cynicism.

On October 21, polit-prisoner Nemo Chanturia was transfered to the prison hospital.

After the verification of the information Ms. Lali Lomadze stopped her strike on the 6 th day, October 22. As it became known, Nemo Chanturia had been visited at the prison by General Givi Kvarelashvili, head of Internal Affairs Criminal Department and seeing the prisoners lamentable condition had him immediately hospitalized.

Nemo Chanturia is still in a critical condition and has high blood sugar level.

### Trial still in progress
### Seprtemder 26 - October 25.

The trial on the so called "Case of Chikovani street explosion attempted against Jaba Ioseliani" is still in progress, despite the fact that the process is attended by only 7 accused out of 18. These are: Gela Mchedlishvili, Sergo Khakhviashvili, Givi Kalmakhelidze, Ramaz Charigogdishviti, Ivane Lashkarashvili, Beso Bochoradze and Mamuka Danelia. Omar Kochlamazishvili does not attend the sessions for illness. Also are absent Petre Gelbakhiani, Gedevan Gelbakhiani, Viktor Domukhovski, Irakli Dokvadze, Temur Kapanadze, Mamuka Aptsiauri, Zaza Tsiklauri, Zurab Gogichashvili (suffers blood vomitting) and Gocha Makhviladze, as the Judge forced them to leave the court room on various motives. Lawyers Baghaturia and Babunashvili are not attending the sessions either. Neither are the defenders Rusudan Kikaleishvili and Giorgi Khoshtaria.

On October 17, lawyer Yuza Jghamadze, the father of three, was first expelled from the Lawyers' Collegium and then dismissed from his job, the reason being his refusal to defend the accused V. Domukhovski against the latters will.

The judge, Mirza Dolidze, made public the evidence of the accused G.Makhviladze, when neither Makhviladze, nor his lawyer attended the court session.

On October 24, on the agreement between the procurator Kakha Koberidze and the judge the decision was made, according to which "V.Domukhovski, proceeding from his behaviour does not need a defender and must be denied such services."

On October 26, by Court decision, Court procedure was illegally changed: reading of the evidences of the accused was stopped and instead examination of the victims began motivated by the fact that they won't be able to attend court-sessions in winter.

In spite of the absense of the accused Dokvadze and his lawyer Giorgi Mosesiany, one of the victims, whose evidence was closely related to Irakli Dokvadze's interests, was examined.

### The visit of the U.N.General Secretary in Georgia, Serves the Harshening of the Regime.

*Tbilisi*
*November 1, 1994*
*To the U.N.Committee on Human Rights*
*To the World's Human Rights Organizations*

An appeal of Georgian Helsinki Union.

From October 13, 1994, on the initiaive of Georgian Helsinki Union, a peaceful sit-in was continuing at the birth-place of Georgia's National hero Merab Kostava, with the following demands:

-Shevardnaze's puppet regime to be abolished;
-All political prisoners to be released
-Russia's occupational troops to be removed from the Georgian territory.
-Georgia's popularly elected government to be restored.

On October 31, on the arrival of the U.N.General Secretary, the peaceful sit-in members were brutally dispersed by the armed Guardsmen and Special Policy Detachment.

Many were mercilessly beaten with truncheons. Refugees from Abhazia were treated with special brutality. The dispersers broke the video-camera belonging to the Reuter special correspondent in Tbilisi, who was present at the protest rally.

Ms. Ana Chavchavadze, Ms. Leila Tsomaia, Mr. Murman Mzarelua, Ms.Nona Dochviri, Mr. Mamuka Khutsishvili and many other active members of Georgia's Human Rigts Organizations were arrested.

Several of them were released on the same evening. All the arrested were brutally beaten. On the same night, members of Criminal Department of Georgia's Internal Affairs and Security Department visited the homes of Helsinki Union other members. As a result were arrested: Nugzar Tsertsvadze, Giorgi Kobakidze, Mikheil Datashvili, Zurab Urushadze, Bidzina Dangadze. In all, over 30 people were arrested. On the same day, General Demur Mikadze, head of Tbilisi Police declared in his T.V. appearance that manifestations and rallies won't be tollerated in future and all the attempts will be thwarted in the same way.

Proceeding from the aforesaid we appeal to you to voice your firm protest against Shevardnaze's barbaric and inhuman policy.

მთავარი რედაქტორი თამარ ებრალიძე
EDITOR IN CHIEF TAMAR EBRALIDZE
მოგვწერეთ მისამართზე: 380008, თბილისი 8, საბონენტო ყუთი №227
Address for correspondence: Box #227, 380008, Tbilisi 8, Georgia
ჩვენი გაზეთის გავრცელების მსურველებს ვთხოვთ დაგვიკავშირდნენ ნომერზე
99-87-37